# დიდმოურავიანი

## პროლოგი

1
მეფესა ქართლის ცხორება ებძანა გალექსულობით, ზოგი
რუსთვლისა ბაასი, კახთ მეფის საქმე სრულობით, ხან ლხინი,
შვება, სიამე, ხან ვარდი დანასრულობით:
სიბრძნე, ხმალი და ომები, სიკვდიდმდე აღსასრულობით.

## მ ე ფ ი ს   ა რ ჩ ი ლ ი ს ა დ მ ი .

2
მეფევ, სიბრძნით აღსავსეო, ხელმწიფეთა პირმშოვ შვილო, ღრმის
სიტყვისა ამომცნობო და ძნელისა გამადვილო;
"ცოტა სიტყვა განმიმარტე", გებრძანა თუ: "ჩემო ჩრდილო, შენ,
სიბრძნისა ვერ მიმწთომო, მაგრა რიტორთ კაცთა ზრდილო!"

3
ამ ამბისა განმარტებით არა გქონდა მოხსენება,
ვით გაუწყრა მოურავსა, მეფეს ანუ ვით ენება;
საქართველოს დასუსტებას მით ბელიარ ექენება;
ამ ქვეყნისა შიგნით რევას ზოგს ოცნებით ეჩვენება!

## კარი პირველი

4
ქრცხილვანს იდგა მეფე შვებით, მას გვერც ახლდა მოურავი,
იშვებენ და იხარებენ, ქარი უქრის მათ არავი,
მტერი ყველგნით შეაშინა, ომის იყვნენ არ მზარავი,
ავი ენა ამათ გაჰყრის, ქვეყნისათვის ეს არ ავი.

5
სამნი კაცნი მოურავთან მოვლენ სიტყვის მოხსენებად, პირველ
ჰკადრეს: "სახელისა ჩვენ შენისა ვართო ქებად,

გაგიცხადებთ ხვაშიადსა, ჭირთა ჭირზე მოსავსებად,
მაგრა ფიცს გთხოვთ, არვის უთხრა, არ შევიქმნათ გაცხადებად."

6
მან მიუგო: "რას ფიცსა მთხოვთ, ან რისა ხართ ნეტარ მთქმელი?
გამიცხადეთ, თუ რა მოჰხდა, ახლარამ თუ ანუ ძველი,
კარგს მეტყვით თუ საზიანოს, ლხინით ვარ თუ ცრემლთა
მღვრელი, გულში არა ჩამაჩნია, მეფის მტრის ვარ მე მომსვრელის"

7
მათ უთხრეს, თუ: "ვერ გიამბობთ, თუ არ მოგვცე მართლა ფიცი.
წიგნი მოგვეც საფიცრისა, დაბეჭდე და დაამტკიცი,
თვარემ გითხრათ, მიგვცე ხელთა: "ამან მითხრა, მე ეს ვიცი"!
ჩვენ დაგვხოცონ, თუ გარდავრჩეთ, ვერ ვიშოვნოთ ანამტკიცი!"

8
დაღონდა, გულში ესე თქვა: "ნეტარ შევჰფიცო რისათვი,
წიგნი მიმეცეს ფიცისა ცუდის სიტყვისა თქმისათვი,
მეფე ხომ არას მიწყრება, არც მოყვრის, არცა ძმისათვი.
ეგება მე სულ შორს ვიყო, მეუბნებოდენ სხვისათვი".

9
ბევრი ეუბნა, არ უთხრეს, ვირემ არ მისცა ფიცია,
მაშინღა ჰკადრეს: "სიკვდილი შენი ხვალ დანამტკიცეიას"!
ერთმან თქვა: "მოღალატენი უთუოდ მართლა ვიციას"!
რა მესმა, იქივ შევსწუხდი, მე თავსა ხელი მიცია!

10
ჰკითხა: "ნეტარ რასთვის მამკვლენ, ანუ ჩემგან რა მომხდარა", კაცს
რომ ბევრი კარგი უყო, ჭირნახული ქვე წამხდარა,
რომ არ აგყვე, სიზმრის ნახვა ბევრჯელ სადმე კვლაე ამხდარა.
მზეჭაბუკ და გმირი როსტომ ღალატითა გარდამხდარა!

11
ზოგს ყმას გაენდო, ზოგზოგთან კაცი გაგზავნა მალები, ქაიხოსროს
და იესეს უთხრა: "გული გაქვთ სალები,

რასათვის მამკლავს, გასინჯეთ, თქვენგნით მქონია ძალები,
კარგისთვის კარგი ეს არის, იცით, რა დავსდევ ვალები?"

12
მათ უთხრეს: "ნუ დაიჯერებ, არა გავს სიტყვის მსგავსება,
ზოგთ უნდა გარდაკიდება, ქართლის ჩხუბითა ავსება;
შენ რომ არ იყო, დღეს ქართლსა მიხვდება სანთლის დავსება.
მთვარე დაცხრების ჩვენ კერძი, აღარ ყოს პირის გავსებას"

13
კვლავა ნახა ისივ კაცნი, იმავ სიტყვას მეტყველებდეს,
მოახსენეს: "დაიჯერე, ვირ შენს შუქსა დაავსებდეს,
მოგკვლენ, სისხლსა დაგიღვრიან, ზოგნი თასსა აავსებდეს,
რაკი მოგკვლენ, სოფელს გავლი, სიკვდილს შენსას ვინ ეძებდეს?"

14
თქვა: "ვერ ვხედავ ამ საქმესა ჩემთვის რასმე კარგა მხედად,
სამსახურის საპასუხოდ მე ეს მამცა ეტლმახ ბედად,
შვილიშვილის დასადგინად, სანატრელად ან იმედად,
აწ რაცა ხამს, მე იმას ვიქ, თქვენ რა გითხრა სიტყვა ყბედადს!"

15
ჰკითხა კიდევ: "რა სიტყვა თქვეს, რად სწრაფობენ ჩემად
მკვლელად?"
მათ უთხრეს თუ: "ის შეიქნა ლუარსაბის სისხლთა მღვრელად;
კვლავ: მან ჯარი დაიხვია, არ ეტევის მინდორს ველად;
თავს არ გვიდებს საპატრონყმოდ, წყალობისა არ მადლმხდელად.

16
თქვა: "მამაცისგან ცუდია, თუ მუდამ რაცხავს შიშებსა,
ვინც რომე უწინ მირჩივა, ვიცი, მამიგებს იშებსა,
მითხრეს, გონიას რას ეძებ, შერთვია ზღვათა ქვიშებსა,
კაცს განუცდელსა სოფელი, იცით, რომ არ გაუშვებსა?" .

17

მეფემ შეგვიტყო ჩურჩური, გაყენ და გამოყენება;
ებძანა: "რა გაქვთ საქმენი, სიტყვას არ უნდა ყენებას!"
ვჰკადრე: "ამჟამად არვისგან მკვდარი არ აეყენება,
თავს ღალატითა ვერ მოვჰკლავ, ამისი ნუ გაქვს წყენება!

18
მეფევ, თქვენ იცით, ტარიელს რამაზის სიტყვის თქმანია,
მან მოარჩინა სიკვდილსა, თვარ იყო დასანთქმანია,
რა წიგნი მისცა მას კაცსა, პირობა, რა აღთქმანია,
მეც მითხრეს ჩემი სიკვდილი, აწ რაღა უკუთქმანია?"

19
ავალიშვილი დომენტი, ჭკვიანი კაცი, მროველი,
მას ვჰკადრე, "თქვენ დაისაჯე, მეფესთან ამას მოველი,
ეს ჰკადრე: "რა დავაშავე, ვიყავ ხლმით ბევრის მშოველი,
თქვენც კარგა მაპატივებდი, დ ცა წყალობითა მთოველი!"

20
მივიდა, მეფეს შეჰკადრა: "ნუ გაქვს სიტყვისა წყინება,
მეფეო, ის ვჰქენ საქმენი, რაც თქვენმან გულმან ინება,
რისთვის გამხადე მტერთ გულად, რად მეც ცრემლისა დინება?
შენთვის რამდენჯერ ხლმის ვადა გლახ ჩემმან ხელმან ინებას!

21
მეფემ ბძანა: "ეგე საქმე არ გავლია ჩემსა გულსა,
ვინ მოგკვლევდა, რასა ჰქვიან. მომდგომსა და ჩემს ერდგულსა,
ნამსახურსა თავგაწირვით. კვიპაროზსა სწორად რგულსა,
ვინც რომ გითხრა ეგ ტყუილად, შევიქ დამწვარ დადაგულსა!

22
მაგის მთქმელი არ იქნების, იგი კაცი თუ არ მამცე,
მამული და სამყოფელი სრულ უკლებლად ახლავ გავსცე,
იავარ ვჰყო სამყოფთაგან, თავსა ზარი მაშინ დავსცე.
შენით მინდა მე ლაშქრობა, ნაღარას და საყვირსა ვსცეს!"

23

ესე სიტყვა მოუტანა, მეფე მართლობს მეტად თავსა!
"დამიჯერე, ასრე შორს არს, ვით არ შევა სპილო ნავსა"!
ერთხან ჩავჰყევ, არ დავჰკარგავ. ჩემს ჭირნახულს შევიქ ზავსა,
იგი კაცნი კვლავ მოვიდეს, მე მეტყოდეს სხვას იგავსა.

24
მითხრეს: "ერთხელ კიდევ მორჩი სიკვდილსა და ღალატობას.
ჩვენ ნუ გაგვცემ, თვარ დაგვხოცენ, შენ მიხვდები ფიცის გმობას,
დაგვიჯერე, ნუ მოელი მეფისაგან ხვალ დანდობას,
ლუარსაბის სიკვდილს გადებს, სულ ამას იქს სიტყვის თხრობას".

25
კიდევ გავგზავნე მროველი, ვაახელ მოციქულები:
"მე მთქმელთა კაცთა ვერ მოგცემ, გინდა რომ შემქნა წყლულები,
ლუარსაბ მეფის სისხლს მადებთ. გაქვთ სადმე სიტყვა თქმულები,
მაგრა თავიდამ შეგკადრო, თუ თქმადღა შემრჩეს სულების"

26
მეფეს ებძანა: "აწ გითხრა სიტყვა უცთურად მთელია,
ქვეყანამ იცის, შენ იყავ მისის სისხლისა მღვრელია,
მაგრა მას მიხვდა სუფევა, ანგელოზნი ჰყავს მცველია;
ამჟამად ისრე არვინ არს წამების გარდამხდელია!

27
მაგრა მე მის სისხლს არ ვეძებ, შენ იყავ შენთვის მჯდომარეს"!
რა ესე მესმა, შევიგენ, ვჰთქვი: "არის ჩემზე მწყრომარე",
მოციქულთ უთხარ. "ვყოფილვარ მე სადმე ცუდათ მშრომარე,
მეფეთ ტახტისა მაქცევი, არა თუ შემამკობარე"!

## კარი მეორე

28
შევსთვალე: "მეფევ, ისმინე ეს სიტყვა გათავებამდი,
მეფეს ლუარსაბს როს ვახლდი, ვით ვიყავ მისად ქებამდი;
ოცის წლის მამამ მიმართვა, ის იყო ცამეტებამდი,
უწინაც მაპატივებდა სამუდმოდ გვერცა ხლებამდი.

29
ხანი რამ გაჰხდა, მოვიდა ამბავი ლაშქართ ყრისანი,
თათარხნის შემოგროვება, თრიალეთს გარდმოსვლისანი,
მან იარალის უბძანა: "შენ იცი შეყრა გზისანი,
თან ზაქარია წამოგყვეს, ყმანი არ გინდა სხვისანი!

30
გზანი დაცევით, თქვენ ქენით კარგრიგად ყარაულობა,
თუ ჯარი ნახოთ, დ გვაცნობეთ. ნუმცა ჰქნათ თავის წყლულობა!"
მათ ვერა უგრძნეს ლაშქართა, ქნეს სხვას გზას გაპარულობა,
ბოლოს მათგანვე მოიკლნეს, ქრისტეს შესწირეს სულობა!

31
მათ თრიალეთი გარდმოვლეს, თან აჰყვნენ მანგლისელები,
ზოგნი ნამგლითა მოსდევდეს, ზოგთ ხელთა ჰქონდა ცელები;
კველთა, ოძისი დადაგეს, არა ჰყვა შემნახ-მცველები,
მეფის სვიმონის ხლმის ქნევა, თურმე, არ ახსონსთ ძველები!

32
კველთას თევდორე შეიპყრეს, მცოდნე და კარგი მღვდელია,
ლახტითა სცემდეს: "წაგვიძეხ, გზა რომელ გარდამსვლელია?"
ერიქალზედან ავიდნენ, ხუცესი წინწინ მვლელია;
აწ ნახეთ, როგორ მოუა, რის ჭირის გარდამხდელია!

33
გოსთიბის თავს რომ მოვიდეს, ჯერ არ ჩაევლოთ სულებით,
უთხრეს: "მეფეზე მიგვიძეხ, უკან მოგყვებით სულებრთ."
ორს კაცს ეჭირა მხარ შეკვრით, ხელი ხელზედან სულ ებით,
მღდელმან გულში თქვა: "მე მამკლან, არ დავიკარგვი სულებით!

34
ეს განიზრახა: "მეფეზე მიუძღვე ჩემის შიშითა,
თან დავიდევნო ლაშქარი, უმრავლე ზღვისა ქვიშითა;
ესენი ფაფარუჭობდენ გახარებით და იშითა,
არვინ დავრჩებით უკვდავათ, ვინც რომ დედითგან ვიშვითას!"

35
ერთაწმინდაზე ჩაუძღვა, გზა ჩავლო ქვენადრისანი,
ცხირეთზედ დიაღ შორს დარჩა, მხარი ვლო სხვის სამძღვრისანი,
მღდელს თავი გააგდებინეს, წამებით სისხლთა ღვრისანი,
მაშინ ერთ კაცად კმარიყო, რაც ვნახე ჩემის ძმისანი!

36
მეფე ცხირეთს ზძანდებოდა უგრძნაულად, მოსვენებით,
მეც გვერც ვახლდი, იგ მწყალობდა სიკეთით და თავის ნებით.
გარდმოვხედე, სულ მოიცვეს დაბლა მხარი, ვიქმენ ვებით,
გულსა უთხარ: "მე ქართველნი მათ შევაბა კაის ცნებითს!"

37
მეფეს ვჰკადრე: "ნუ დაიძვრი, დამაცალე შვიდს ჟამს ჯერე,
რაცა გკადრო, ის ისმინე, სიტყვა ჩემი დაიჯერე,
შენს წინ მოვჰკვდე უსაცილოდ, ფიცი ჩემი ეს იჯერე,
სარდრობით და კაის საქმით, ნახავთ, ვითა შევაჯერე"

38
დამიჯერა, მეფე დადგა, მე კავთისხევს ვიწყე რბენა,
ბარათიანთ ვის შეეტყო, მათ დაიწყეს კვლავ მოდენა,
ვინც ვიპოვე შევაგროვე, ოთხასი ვჰთქვრ ან რამდენა? დ
ღვთით მოხდომა დავანანო, მათ ცოლთა ქნან ცრემლთ მოდენა.

39
დელუმაჰმადხანს ვაცნობე: "წამოდი, მალე ირები,
მალ მოგვეშველე, შეგვექნა დღე რამე გასაჭირები,
ნუ გაგვიდრკები, აქამდი ჩვენ ერთად გვქონდა პირები"!
არვინ დავაგდე, საომრად მოდიან ჯოხით გზირები.

40
მეშვიდეს საათს მეფესთან მოველ, მოვხვივე ჯარია,
აწ ნახავთ, როგორ შევიქმენ თავისა გამსაჯარია,
ზაზა ციციშვილს იცნობდით, როგორ გულ სრული არია,
მას გვერც ვიახელ, მრავალი კაცი შეჰვქმენით მკვდარია!

41
ნიაბთ ბოლოს სხერტა ჰქვიან, არის რამე მცირე ჭალა,
ზაზას ვახლდი, იქ წინ დავხვდით, გული გვაქვს და მცირე ძალა,
ზაქარიას იარალი მასთან მოსდევს, მოვლენ მალა,
მორწყულს ხნულში შემრცვივდეს, სისხლი მათი იქ გამშრალა!

42
ისინი ორნივ დახოცეს, ჩვენ დავრჩით, იყო ველია;
შუბებსა ხელი ვამაგრეთ, მოგვგონდა საქმე ძველია;
ჯიღოსანთ კაცთა უტყუბეთ, წინ იყვნენ, არ მშველია,
ზაზასი მიკვირს იმ დღესა, თუ რას საქმისა მქნელია!

43
ფაშები იყვნეს, რომ ვჰხოცეთ, გარდახლტა, მოსჭრა თავია,
სისხლით შეღება დოლბანდი, კაბა-მწვანე თუ მავია,
მათ მოგვატანეს რაზმითა, არ ჰქონდა ჩვენზე ზავია,
წვერით კბილს თავი მიიცა, ცხენსა მოახლტა: მჰაია!"

44
მაშინ მტკვარი მდიდროობდა, ჟამი იყო თიბათვისა,
მუხრანთ მპყრობს და ერისთვებსა ვჰკადრეთ: "გვინდით ამისთვის!
ამილახორს მოახსენეთ, მტერი ცეცხლზე დაერთვისა"!
მალ ავლევით ზემო ქართლი, სად ფრონენი მტკვარს ერთვისა.

45
დელუმაჰმადხან მოვიდა, შვიდასი კაცი ხლებოდა,
გულსრულობასა ჩემობდა" მამაცად რასმე დგებოდა,
"მგლისტყაოსანთა" შევებნეთ, ომი მწვე შეგვეძლებოდა;
ვიცი, რომ ხმალთა ჩვენთაგან მათ გული დალებებოდა!

46
აიყარნენ წასასვლელად, მათ პირი ქნეს ყარაღაჯით,
კაცი კარგად მოაგვარებს დიდს ლაშქარზე კარგის გარჯით!
მეფეს ვჰკადრე: "აწ ქართველნი მე ავავსო მათის ხარჯით,
ბძანება ქენ, ნურვინ არჩენს შეხვეწნით და ნურას აჯით".

47
წუნარა მიდიან რაზმ წყობით, ჩვენ უკან მივსდევთ ნელაო,
მათი შებმა და შეტევა არავინ გაიძნელაო,
მე სადავენი შევტაცი, ვინ შუბი წაიგრძელაო,
სამოციათას კაცზედა როგორ არ გვინდა შველაო?

48
ერთი ტერტერა გორიდამ მოვა უგრძნულად გზაზედა;
დოესის ბოლოს წინ დახვდეს, გულს ელდა ეცა მაზედა;
გაფრინდა, ხიდის ფიცრები მან გარდაყარა წყალზედა,
თუ არ ენახა ტერტერას, ხიდს გაივლიდენ მზაზედა!

49
გმირთ ზღაპრულს წიგნში სწერია ჯეონის გაელა ადვილად,
მდევრისა ველარ მიწევა, ვერც ჯავრთ ამოყრა ადვილად.
გივისგან ქაიხოსროსი მორჩენა კარგა წადილად;
მათ დავაშხამებ ხვალ დილას, რაც რომ მომზადონ სადილად!

50
იმ ღამეს მართლმორწმუნენი იყვნეს სულ ღამე თევითა,
ზოგნი ხშირ-ხშირად ვდგებოდით, ზოგნი აქა-იქ თევითა,
ღირსნი კაცები გვიახლნეს. ვესევდით ჩვენ მათევითა,
არ იყო მათში ცთუნება გველისგან იმათ ევითა.

51
დილა გათენდა, ვახსენეთ ღმერთი და წმინდა ყოველი:
მარიამ დედა ქალწული და მერმე ძელი ცხოველი,
კვართი და მკლავი მარჯვენა, ღვთივ ქმნული სვეტიცხოველი:
თქვენ დაგვიფარეთ, დაგვცევით, რა წყალში ვიქმნეთ სოველი!

52
გაღმა მტრის შიში არა გვაქვს, წყალს ხმალი არსით ეკვრისა, ტანსა
ჩავიცვით ჯაჭვები, ტალიკით აღარ ეკრისა,
ჩვენი სიკვდილი აღარ გვჩნდა იოტად, ანუ კეკრისა,
გზები შეუკარ კორტანეთს, შალვა უფროსი მეკრისა!

53
შევედით, წყალსა გავედით, გვეგონა თავი მცურავი,
ცხენები წყალში ფრტვინვიდა, უკუღმა აღარ მბრუნავი,
იმერ ნაპირს გავედით უბე და კალთა მწურავი,
აწ თათარხნისას გაცნობებ, ვით შევჰქნა მოსამდურავი

54
წყალს უზიანოდ გავედით, ეს დიდი სასწაულობა!
ივნისში მტკვარს ვინ გასულა, არ მიხდომოდეს რჩულობა?
არ მოგვრჩობია ერთიცა, იმდენი ერთა სულობა,
ცხენთ ცურვა გაუადვილდა, გასვლა თუ გამოსულობა.

55
სურამის ბოლოს მოვიდნენ, ქართველნი შევიყარენით,
იმათაც დიდად იამა, ჩვენ ხომ მწვედ გავიხარენით,
ომსა ბედევდეს ყველანი, არვინ არ დავიზარენით,
ღმერთო, მოგვხედე, თათარხნის რომ სისხლი ხარბად ვღვარენით!

## კარი მესამე

55
რჩევა შეგვექნა ომისა: რას დროს შევებნეთ, რაგვარა,
დაშურება სჯობს, სიჩქარე, ვირემდის აიბარგარა,
ხანძრად მოვედვნეთ, როგორაც ბალახი ცეცხლმან დაგარა,
ქართველთ ხმალს ქვეშე, ღვთის ძალით, თათრებმან ვერ იმაგარა.

57
ზოგმან თქვა: "ახლავ მიუხდეთ, თავს გარდვადინოთ მტვერია!
რაღას უდგავართ უომრად, რა ახლო ვნახეთ მტერია?"
ზოგმან თქვა: "ზეით მოუხდეთ, შეიქნან გასაშტერია,
მათ დავანანოთ აქ მოსვლა, არ ჰყვანდეს პატრონ ტერიას!"

56
ნუგზარ თქვა: "ღამით დავესხნეთ, მთის კაცთ ეს მიყვეს რჩევანი;
მრავალჯერ გაგვმარჯვებია, ასრე გვაქვს ომის ჩვევანის"!

სხვათა თქვეს: "დილას მიუხდეთ, შევქნათ ბედისა წყევანი,
ერთს წარექციოს ასი და ასს ათასისა ძლევანის!"

59
მე ვჰთქვი: "ძმანო, დმიჯერეთ, ესე ომი მე დამდევით,
ჩემი საქმე დღეას უკან ანდაზად და ხიდათ დევით;
გული მტკიცედ დაიმყოვრეთ, მართლა თავი გარდადევით,
თვალი მიგდეთ ზოგზოგებმან, მათში ვიქმნე, როგორ დევით!

60
დილაზედა რაზმი ვაწყოთ, მათკენ ვიქმნეთ ჩვენ წახრილი,
სადაც დგანან, აქეთ ნაპირს წაუვლია იმათ თხრილი,
იმას ასრე გარდავიდეთ, არვინ იქმნას გან გახრილი,
გარ მოვიგზნათ დახოცილი, როგორც დოლაბს ედვას ხრილი!

61
ერთი კაცი წამოსვლოდათ, ნიაბის თავს დაეჭირა,
მოსვლა მისი, გამოპარვა, ჩვენთვის ლხინი, მათთვის ჭირ ა!
ვჰკითხე: "ომსა როგორ ბედვენ, შებმისა აქვს საეჭვი რა?"
მითხრა: "უმძიმს მათ გარდმოსვლა, გზა და წასვლა გაეჭირას!"

62
ესე თქვა თუ: "გროვდებიან, ქვიშას რასმე პარკს ჩაჰყრიან,
ხან ისრებსა შესჭიდებენ, ხან ქურუმნი რამლსა ჰყრიან,
მესტროლაბე სტროლაბსა შლის, მიმსვლელს უკან უკუჰყრიან,
მოსწყენიათ უცხოთ რასმე, ვეჭობ, ყურებს ჩამოჰყრიანს"

63
ეს გავიგონე მათგანვე, თქვეს: "საქმე მოგვდის მარცხისა,
რაცა ნიშნები ვიცოდით, აღარ დგას, წყალი გარცხისა,
სრულ ჩამოცვივდა ბურჯები, ეტლებმან ქვე დანარცხისა,
თილისმთ ნაქნარი დაშალეს, რკინა ჰქონდათ თუ რაც ხისა"!

## კარი მეოთხე

64

ესე ამბავიც გვიამა, ღმერთი უწყრების თუ რევდა,
იმ კაცსა ვჰკითხეთ, საბრძოლი მათში რა უფრო ურევდა? გვითხრა
თუ: "მშვილდით იბრძვიან, ფოლადი ისრის პირევდა, თოფი და
შუბი არა აქვთ, საყალნო მწვე ქვითკირევდა."

65
თხრილის პირს ჩვენ მიუყენეთ მეთოფე, ქამანდარები, _ ესროლეთ,
თოფის კომლითა ვერ დაინახონ დარები!
აქათ ესენი ესროდეს, ზეით გზა განაკარები,
რა თოფის სროლა გათავდა, შუბთა ქნეს ჯაჭვზე ჩხარები!

66
რომე ვიწონეთ ჩვენზედა უფროსნი ექვსის ზომითა,
ვთქვით: "გამარჯვება ჩვენია, გავძღებით მათის ომითას!"
რაზმი გავაწყევ, მივმართე მკლავითა დაუშრომითა,
სისქეს ჯარს პირველ მიუხე, სისწრაფე, დიდის ნდომითა.

67
მეფე გულსრულად მობძანდა, შექნა შუბისა მგერება,
ვისაც მიუხდის თამამად, იგ მისგან გაიმტვერება!
ფიცხად იბრძოდეს ქართველნი, რაღაა უფრო მტერება,
ხნაშა-ხნუშისა ხმა არის, იმათ ვინ მიეფერება!

68
ომი გახშირდა, შეუქმნეს ცხენ-კაცთ თოფისა სროლანი,
ზოგი ბორდღევდა ცხენს ქვეშე, ზოგთა აქვს მკვდართან წოლანი;
დარბაისელნი იბრძვიან, მეფისა კაამყოლანი,
ომში ისინიც მოგვესწრნეს, ვის ექმნა უკან ყოლანი.

69
ჩემი რა ვჰთქვა, დიდად მძულდა ტრაბახი და ცუდი კვეხა,
ვეღარ დადგის უნაგირზედ, ვისაც ჩემი შუბი ეხა!
სად მივმართი შევაძრწუნი, ლახტის თქვიან, არის ჭეხა!
სული მეც ხომ ამოვართვი, რას უზმიდა მეტსა მეხა?

70

ვჰხოცდით გულმყოვრად, ვიბრძოდი, სწორად რაზმს შუა
ვბრუნევდი,
რომელსაც სისქეს ჯარს მოვხვდი, ერთმანერთს შიგ აურევდი,
რომელიც ჯიღით წამოდგის, იმას სისხლს უფრო ვსურევდი,
სიცხემან ძალი დამმართა, ოფლსა არ მოვიწურევდი!

71
ფიცით შეგკადრო, მეფეო, სამი გავსტეხე შუბია;
მასუკან ლახტით ვიბრძოდი, სისხლით ავავსი უბია,
ლახტიც რომ გატყდა, ხმალს ხელი მივჰყავ, ვაყენე გუბია!
პატრონსა ჩემსა სხვა მტერი ნიადაგმც ასრე უბია!

72
იბრძვიან ერთპირ ქართველნი, ხმა ისმის ჩახა-ჩუხისა,
თათარხნის ჯარი გაწყვიტეს, მებრძოლნი შეაწუხისა,
მეფისთვის თავს ვინ დაზოგავს, ტანსარო გულად უხვისა?
მრავალთ აბჯრისა ცემისგან თქვეს თუ: "ხმა არის ქუხისას!"

73
ჩვენი ბრძოლა შუბით არის, მათი ფარ-ხმალ ისარია;
სითაც მეფემ ცხენი იგდის, დააშვენის ის არია;
ვისაც თავსა ლახტი დაჰკრის, არ ეგონის ისარია,
ღმერთო, მიეც გამარჯვება, ვინ რომ რაზმი ის არია!

74
დილას შებმულთა ცხრას ჟამამდი ჰქონდათ სისხლისა დენანი,
მაშინდელს გამარჯვებასა მართლად ვერ მოსთვლის ენანი, კვრისა
და ცემის ხმა იყო, სხვისა არ გვქონდა სმენანი, - მწარეს
გვესროდეს ისარსა საყალნო ან სარჩენანი

75
ზოგს მოკლე შუბი ეჭირის, მარჯვედ ხმარობდეს სროლითა,
ვის დაგვაცდენდენ, მაშინღა მიუხდით ჩვენ ოროლითა,
ავს ჯაჭოსანსა ვის ჰკრიან, შექნიან ცხენს ქვეშ წოლითა; თორმეტი
მარტო მე მამხვდა, ვერა მქნეს ჩამოყოლითა!

76
ისრის სიხშირე რა გკადრო, თუ რამდენი რამ მამესო,
ჯაჭვშიგან მამხვდის ნამტვრევი, სადაც რომ ხელი მამესო,
ომი მწყუროდა მას დღესა, მწადს მათი სისხლი მამესო,
ამ ჭირნახულის მოქმედსა ბოლოდ აღარა მამესო!

77
გაგვემარჯვა, ამოვსწყვიტეთ, დავიპყრენით, დავჰხოცენით!
რაც მეფეს და ქართლს უჯობდა, ყველაკაი ისრე ვჰქენით,
თავი მოდის მეფეს წინა, თუ რამდენი, ვით ვჰთქვა ენით,
სხვა მისებრივ გამარჯვება არ მინახავს, არც ვარ სმენით!

78
მეფემ ბძანა: დღეს, ქართველნო, ვით გმართებდა ჰქენით ბრძოლა,
ვჰფიცავ, რომე ჩემისთანა არვისა ჰგავს ყმისა ყოლა,
თავნი ყაენს გაუგზავნოთ, გარასპიმ ქნას თან მიყოლა,
ძმათ და შვილად მიმაჩნიხართ, უფროსნი ხართ კაამყოლა!

79
ვინ რომ ტყეში შემძვრალიყო, მესამეს დღეს მოჰყავთ კრული,
რახტ-უნაგ ოვერცხლოსანი, ზოგი ოქრო გარდდჯსული, მე არ
ჯავჰყვი საშოვარსა, ვინ ვჰქნი ხმლისა შემოკრული, ვინც გამყარა
მე მეფესა, არსმცა წყეულ, დასაკრული ქთბ

80
ომი გარდასწყდა, ვამოყვსეთ ხელი და გული ლხინებსა,
კვირით კვირამდი სმა იყო, ნეტარ ვინ მოიწყინებსა?
ყირმიზს ღვინოსა სურები თასზედან მოადინებსა.
რა ზარხოშობა შეგვექნის, ხან სელი მივჰყვით მინებსა.

## კარი მეხთე

61
ხანი გარდაჰხდეს, ამაში მე დავჰპატიჟე მეფესა,
იგ მხიარულად მეწვია დარბაზსა, კარგსა სეფრა,
უხვსა, გულტკბილსა, ჯომარდსა, ნიადაგ ვარდთა მკრეფესა,

ბოლოს გესმოდესთ, რას უზმენ ამა ამბისა მყეფესა!

62
მესამეს წელსა გავმართე მე ლხინი, ერთა ჭამება,
და მყვანდა დ ტურფა, შვენებით მჭვრეტელთა გულის ამება,
მეფემ თურ თვალი მიაპყრა, შექნა იმისთვის წამება!
გამარჯვება და ლხინთ ნახვა ყველა შემექმნა შხამება!

63
არს გარიგება კარგვარი მის მის ალაგსა დასხმანი,
ვის ღვინომ თავი მოსტაცა, შეექნა გარეთ გასხმანი.
მეფემან ბძანა ჩემის დის, მწადს მისგან ღვინის დასხმანი!
მე უთხარ: "ღვინო დაუსხი, ვეჭობ, ქნა არ გარდასხმანის!"

84
მეფემ თურ თვალი შემსჭვალა, მან მოინდომა მრუშება,
დედაჩემს თურმე აცნობეს, შექნა ვაი და უშება,
მეფემ შინ კაცი შეგზავნა, დაუწყო ქალს დაშუშება,
რასაც ეს საქმე გარდმახდევს, ვის ძალუც წყლულ დაშუშება!

85
რა შევიგენ, მე ესე ვჰთქვი: "არ მყოლოდა ნეტამც მე და!
რომე მეფემ ესე მიყოს, გამოვდგებით ისი მე ოა?
წყალობას რომ მპირდებოდა, თურმე აყო ეს იმედა?
შერცხვენა და ხლმის შემოხსნა ნეტარ როგორ გამიბედა?"

86
მეფეს კაცი მიუგზავნე: "ეს არ იყო თქვენგან ქნანი!
რომ ჩემი და გავაბოზო, სიტყვა ნუ გაქვს ამის თქმანი,
ნუ მიჰყვები ბოროტს საქმეს, ნუ გაქისთ ცუდი გულის თქმანი,
თვარემ თავი მოგაკვლიო, არ მაქვს სიტყვის უკუთქმანი!

87
ეს მინდოდა, შვილისათვის მე დამეგდო ხმლის სახელი,
აწ ესე თქვან: "მოურავის სახლი გახდა საბოზველი?"
ამ საქმესა ჩამომეხსნა, მე წყალობად ამას ველი,

რად დაგვიწყდა, აღარ გახსონს ომი შარშანწინანდელი?"

88
მეფემ ფიცი შეუთვალა: "მაგას მე შენ არ გკადრებდი,
მაგრა ცოლად იგ შევირთო, მხიარული ვიხარებდი,
ქართლს დაგიჯდეს და დედოფლად, გაიხარე, მით იშვებდი."
შევსთვალე თუ: "ნუ დამკარგავ, აგრე ადვილ ნურც დამთმობდი!

89
როდეს გნახვენ დიდნი კაცნი, შეგიკვეთენ დაგდებასა,
ჩემსა ცუდათ დაჭერასა და სუბუქად აგდებასა,
შადიმან არს ჩემი ქიშფი, გეტყვის სიკვდილს, გაგდებასა.
ახლავ მიჯობს ჩამომეხსნა, ბოლოს ჭირში ჩაგდებასა!

90
შადიმან ამად დამქიშფდა, აქვს მამაცობის მრახვანი,
ერთხელ ეს უთხარ: "შენს ხმალსა, არა აქვს კვეთა, ახვანი!"
თურმე შეექნა გულთა სევდა, კვნესა და ახვანი,
სხვას რას დამაკლებს ენითა, არამც მომიდგას მახვანი!

91
იმაე სიტყვას მოგახსენებ, ხემწიფესა ზესთა ზესა,
ჭკვიანსა და გონიერსა, სხვათ ძალგულთა უფრო მხნესა,
სვიმონ მეფის შვილისშვილსა დ ნუ მიჰყვები ნდომის ზნესა!
თქვენც ის ქენით, მამაპაპათ, რომ მოყრობა სითაც ქნესა!

92
კახთ მეფისა, ეს მეც ვიცი, არ გხვდების რა შესართავათ,
სხვა ბატონი ვინც არიან, თავმამწონე გვარათ, თავათ, დ
სიხარულით ქალს მოგცემენ, ტკბილის სიტყვის დასაზავათ,
ჩამომეხსენ, დას ვერ მოგცემ, სულ ნუ შემიქ გასათავათს!"

93
ებმანა თუ: "არას საქმით არ დავიშლი მაგის შერთვას.
ნეტარ რასთვის მიზარდები მოცემას და ნების შერთვას?.
თუ ბოროტი მე რამ ვსძრახე, ახლა ხედავ წაღმა შერთვას?

ნუ უპირებ ცრემლთა ჩემთა ზღვათა შიგან სადმე შერთვასს!"

94
შეფის დედას, დედოფალსა, შევეხვეწე მუდარებით:
"თქვენი შვილი ჩემს დასა მთხოვს, მე არ ვაძლევ ჩემის ნებით;
არა ვღირსვარ, დაუშალჭ გამორჩევის კაის ცნებით,
ძმა, შვილი და თავი ჩემი იმსახურე გვერცა ხლებითს!"

95
ებძანა თუ: "არას მიჯერს, თვარ ვმოყრობდი დადიანსა;
შენ ხომ მაშინც ერდგული ხარ, ჩვენთვის დასდებ თავს და ჯანსა,
რომელიც სწადს, მაგან იცის, ნუ შემამთხვევთ ცუდს გარჯანსა,
ვეფხვსა ადვილ ვინ შეიპყრობს, ან ვინ შესწვდა ცას მარჯანსას!
"

95
კვლავ მოვახსენე: "მოყრობა თქვენგან დიდთ კაცთა წესია,
თქვენი ყმა არვინ არ არის სხვა ჩემგან უმრწემესია,
ჩემი და გაუთხოვებლად არ დამირჩების, ესია;
გაგემარჯვების, დამეხსენ, ნუ შემქმენ სევდით მკვნესიას!"

97
გაჯავრდა, ესე ებძანა: "შეხოცა გინდა, ვიციას!"
მერმეღა ვკადრე: "მეფეო, მიბოძე მართლა ფიცია,
რომ არ დამიგდო მასუკან, ეს სიტყვა დაამტკიცია";
"მან საფიცარი მიბოძა: "არ მოვშლი, თუ ცა ვიციას!"

96
აღარ აგრძელა, მაშინვე იმან გაპირა ქორწილი,
სიხარულისა დღისაგან სევდა მაქვს უფრო ორწილი,
ზრუნვა და ფიქრი ბედისა ჩემი შეიქნა მოწილი,
ქალი პირ ბროლი შვენებით, ბაგე-კბილ ტურფა მოწილი.

99
მეფე ქვათახევს წაბძანდა, ნოსტიდამ ახლო არია,
ჩემი დაც თან წაიყვანა, დღე ჰქონდა გასახარია;
წინ მოეგება მაზარით ნასიძე წინამძღვარია,

მან თქვა: "ქვათახევს ქორწილი მეფეთა გასაკმარია!"

100
მღდელი იქ დახვდა მცოდინე, იოსებ კანდელაკია,
მისგან იკურთხა გვირგვინი, არ თქვა თუ დღე რამ ნაკია!
სრულ შინა ყმანი მირბიან, აღმართია თუ ვაკია,
ვინ იცის, დილა რასა შობს, თქმულა, თუ ღამე მაკია?

101
ხანი გამოჰხდა, შეიქნა თვეზი ხუთად თუ ექვსადო,
კავთისხევს დადგნენ, რაცა ქნეს, სრულ ვერ გაუველ ლექსადო,
შემოკრბეს, უთხრეს მეფესა: "საცოლედ შენ" ვინ, ეგ სადო?
არ გიზამთ, ეგ არ იქნების, ნე შეგვიქ ქართველთ მკვნესადო!"

102
ჩემს მოყვრებს მწვე უხაროდათ, სხვანი ჩურჩურით მჩხუზევდეს,
მშინღა უთხრის სუფრაჯმა, როდესაც მეფე სუზევდეს;
მე საფიცარი ხელთ მქონდა, შენახვით კარგა უზევდეს,
თუ მე უცილოდ შემეტყო, სუფრაჯის სისხლი გუზევდეს!

კარი მესამე

103
წავკისის თავს მეფე იდგა, რომ მაისი გახდა ოცათ.
მეფეს წიგნით დავეზარე: "მოდი, ვიქმნეთ ნადირთ მხოცათ,
ყარაია ვინადიროთ, მშვილდი ჩვენ ვჰყოთ ხელთა მოცათ!"
შიგნით ღალატს მიპირებდეს, გზანი ექმნა გარეთ მოცვათ!

104
მეფე სიტყვით მოეტყუათ, მათ რჩევაზედ ჩაეყოლა,
ერთხელ ეთქვა: "ამის მეტად ნუღარ მეტყვით მაგას ყოლა,
ნეტარ ყმაღა ამისთანა სხვას მეფესა ვის ეყოლა?"
დიდს ომსა და გაჭირებას, ნეტარ ვინღა წამეყოლა?

105
მეფემ უბძანა: "ამ სიტყვას არავის გეტყვი ფეროზით,

მან მამარჩინა სიკვდილსა მძლავრს ლაშქარს გასაშტერობით,
მე რომ იმისი და მედგას, თქვენ რა გრჯისთ იმის მტერობით?
თუ მცოდებს, დასაც დაუგდებ, მას გავჰხდი მიწა-მტვერობით!"

105
დაუჟინეს თუ: "რას გარგებს, აბა გყვანდეს მარტო ისი,
გვერცა არვინ მოგიდგებით, შემოგძარცოთ ძმა და თვისი!
თქმულა: "სიტყვა სასარგებლო უკეთ იცის სხვამან სხვისი,
ერთი კაცი ქვეყნისათვის წახდეს კარგი, თუნდა მქისი!"

107
ბოლოს ეთქვა: "იმის დასა მე გაუშვებ, გავირიდებ",
იმათ ეთქვა: "არ იქნებას. თუ არ მოჰკლავ, თავს არიდებ,
იმას ცოცხალს დას დაუგდებ. ჩვენსა დღესა ხომ აბინდებ,
არ იქნების, თუ არ მოჰკლავ, მართლა გულს არ გაიწმინდებ!"

108
დაესკვნათ ჩემი სიკვდილი, რა დილამ შექნას თენება;
ბააკა ხერხეულიძის მაქვს ფარეშთხუცის ხსენება,
მან გაიგონა: "ხვალ მოვჰკლათ", დ ეს თურე ღმერთსა ენება;
გამომიარა, მან მითხრა: "აჩქარდი, გიჯობს ცხენება!"

109
ფიცით მითხრა: "უსაცილოდ ასერ მოვლენ ჯარი მკვლელად!
ახალუხზე ხმალი ვირტყი, ცხენისაკენ ვიქმენ მვლელად,
სახურვიანს ცხენს მოვახლტი, უძოსაკენ ვიქმენ მსვლელად,
უგრძნეს, მიმძიმს, ფარეშთხუცესს მას ცხვირისა ექმნეს მჭრელად.

110
სამადლო გარდმოვირბინე, გამოველ კლდესა ნეგოსა,
ლაშქარი უკან მომდევდა, ხელი ხმალს მაგრა ეგოსა.
შადიმან მოდგა კლდეს გაღმა, შემძახა: "მართებს ეგოსას!"
დავბრუნდი, უთხარ: "მობძანდი, ვნახოთ, ვინ დაიბეგოსა?"

111
რბევით მოველ იმა კლდესა, სად რომ ჰქვიან გელიყარა,
იქ ქვეითი კაცი დამხვდა, თავი დაბლა დაეყარა,
ჩამოვხე და გამოვართვი, მშვილდისარი აეყარა,
ჩახჩურს ვამლევ ფეხიდამე, ქალმან-წინდა წაეყარა.

112
სახურვიანს ცხენსა ვიჯე, მაგრამ იყო დიაღ კარგი,
მშვილდისარმაც გული მამცა, ვჰთქვი: "ეგებ არ დავიკარგი?
თუ ცოლშვილი გარდვახვეწე, მე არ მინდა სხვა რამ ბარგი.
ნოსტეს ლეღვი აღმოვსთხარე, თაო ჩემო, სხვაგან დარგის"

113
დიდგორი გარდმოვიარე, გზა ჩავლე გოსთიბისანი,
ცოლშვილი ტყეში ავასწარ, მე არ ვინაღვლე სხვისანი,
ცოტა რამ ყმათ წამოეღო ოქრო, თვალ-მურასისანი,
ასრე მომიხდა ქორწილი, მეფის რთვა ჩემის დისანი!

114
მთიდამ დავხედე, დაიწყო ქვეშედამ ჯარმა დინება,
სასახლეს ცეცხლი შეუდვეს, მით უფრო მამეწყინება;
ვინ ქიშფათ იქო ჩემზედა, გულსა მიეცა ლხინება,
აიფორაქეს ქონება, გარეთ იყო თუ შინ ება!

115
მამის განძიც ბევრი მქოანდა, უფრო ჩემი ნაშოვარი,
ყველამ ერთ დღეს ჩაიარა, მას მოუხდა გრიგალ ქარი!
მაშინ დვეგმე ეს სოფელი, ვჰთქვი თუ: "რა მწვე ცუდი არი,
გუშინ მქონდა სიხარული, დღეს ტირილი შესაზარი!"

115
მძებნიდეს მთასა, მაღნარსა, ჰქონდათ ყოველგან ჩხრეკანი,
დამაგდებინეს საყდრები, ვეღარ მესმოდა რეკანი,
კლდეებში ბორდღვა, სლვისაგან ფერხთ აღარ შემრჩა მე კანი,
გულს ვეტყოდი: "გამაგრდი, ამ დღეს არ უნდა დრეკანის!"

117
ექვსი ყმა შემომეყარა, მარჯვე და ჩემი ზრდილია,
მითხრეს თუ: "სითაც აპირებ, გზის წასვლა სიადვილია,
კაცი ხარ მწვე ჭირნახული, ბევრს ომში გამოცდილია;
ზოგჯერ მზის შუქი მოგხედავს, ზოგჯერ დაგფარავს ჩრდილიას!"

118
გზები შემიკრეს ყოველგან სამცხის მთისა და ბარისა,
კაცნი ჩავგზავნე შუაღამ, თქვენ ნუ გაქვთ შიში ჯარისა,
მათ შვიდი ცხენი დაჰპარეს, ჩვენთვის სასხდომად კმარისა,
უნაგრიანად მამისხეს, ვჰთქვი თუ: "ეს კარგი არისა!"

119
წავკისს რომ ვიდექ, პაპუნა ჩივაძე თანა მხლებოდა,
ჯაჭვი და შუბი ეტაცა, ერთი თვით იმას სცმებოდა,
მომძებნა მპოვა, მამართვა, მას სწადდა, ძეცა მნებოდა,
იმხელი კაცი სიმარჯვით მართ უკეთ არ იქნებოდა

120
გოსთიბეს იყო სხვა ჩემი ძოვნად ულაყი ცხენია,
ზოგ ზოგი თოხარიკები, ზოგსა აქვს სიფიცხენია.
გულსა მდაღევდა სახმილი, ალისა მე სიცხენია,
ვაი სიკვდილი, დაკარგვა და საქმე შესარცხვენია!

121
ყმათ მითხრეს: "სითკენ წავიდეთ, ერთი გვხამს გასაბედია!"
მე უთხარ: "ყველგნით მაღონებს ჩემი წერა და ბედია,
გზები დავსჩხრიკო, სით მიჯობს, არა მყავს მოაბედია;
წავალ, ვინც დამხვდეს შევაკვდე, დავიწვა, ვით აბედიას!"

122
მე არსით აღარ მეგონა უკვდავად გავლა გზებისა;
ცეცხლი მამიდვეს გარშემო ყოველგნით ანაგზებისა!
ყმათ უთხარ: "დიდგორს მივმართოთ, ვირ მოსვლა იყო მზებისან.
თავს ვეტყვი: "ნეტარ რა მოჰხდა გაწყრომა მიზეზებისა?!"

123
ქალი და კაცნი ვანცა ვართ, შევკრბით, დღემ რომ ქნა ბინდება.
რასათვის წავჰხე უბრალო? ცრემლი ამისთვის მდინდება!
მთის თავს ვჰთქვია "ჩემთან მყოფელსა გული ნუ შეუშინდება,
ჩემთ მკვიდრთა ჩემთან სიკვდილი დასთმეთ, ნურავინ ჭმუნდება!"

124
იმ ღამეს წავლეთ დიდგორი, უგზოთ მთათ ბალახიანთა,
კოშკის თავს გზა გარდუქცივეთ, ჩავედით მაღნარს მთიანთა,
შენობას თავს წავადეგით, ვერ გვიგრძნეს თელავნიანთა,
ტყეში შევბრუნდით, სულდგმული ვერავინ გვნახავს ხმიანთა.

125
თელავნის თავსა ხშირს ტყეში მცირე დგა ტბისა გუბენი,
იქ გაგვითენდა, დავდექით, ვჰთქვით: ვართო მცირე სუბენი.
ცოტა რაც გვქონდა თან გვახლავს, ყველას სავსე გვაქვს უბენთ,
გულს უთხარ: "ნეტარ აქ რა ვჰქნა, არ მოიხმარვის შუბენი!

125
ფეხის მიწყნარვის დრო მოჰხდა, ღამეა მგონ ძილპირისა;
ჩემს სიკვდილს მსწრაფლ მოელიან, ცოლშვილი ამად ტირის.
უთხარ: "ნუგეშისთ, ღმერთია მამალხენელი ჭირისა,
კიდევ წყალობით მომხედავს კვერთხი იესეს ძირისას!"

127
უთხარ: "წავიდეთ, ახლავ სჯობს, საქმენი მინაშურია,"
კარსანის თავი წავლევით, სად ახალქალაქურია,
ჩაველ, იქ საყდარს ჩამოვჰხე, ჩემთან მყოლთ ლოცვა სურად;
იქ მყოფნი არვინ დაგვიხვდა, მონათა ჭამეს პურია.

128
საყდარსა ღვთის მშობლისასა ჩვენ შევეხვეწეთ მუდარათ:
"ამ შეჭირვების მგზავრობას შენ ნუ გვიქ გასაცუდარათ,
გზა მოგვეც იორდანისა, ვინც რომ ხარ ნავთ საყუდარათ,
დამხსენ რყევას და სარჯელსა, ვიქმნე სამ დასაყუდარათა!

129
იქიდამ კაცი ჩავგზავნე ხიდის გზის შემტყობარია:
"დავედრე ხიდის მცველები, ნახე, არ არის დ არია?
მართლად გასინჯე, შეიტყევ, გზის მცველი ბევრჯელ მცდართ,
ეგების ძილსა შეეპყრან, მით თავსა დავსცეთ ზარიას!ნ

130
ხიდზე ჩავიდა, გასინჯა, სამოცი კაცი ფთხილობდა;
მითხრა თუა: მდგანან ფეხზედა, ერთიცა არა ძილობდა;
ერთი ეშუღლას მეორეს, სხვა თქვენს დაჭირვას ცდილობდა; მრომ
არ შევიპყრა, არ მოჰხდესან, დ ამას უსაცილობდა.

131
რა ეს მესმა, "ამისთანა, ვჰთქვი, მიქნია ონარებ?!
ამათ დავჰხოც უსაცილოდ, აღარ მინდა ფონარებ!
გავლოთ ხიდი, იარაღთა მათთა ვიქმნეთ მშონარები,
მომყევით და ნუ გადრკებით, ნუ შექნილვართ მცონარებთ!

132
ყმათ მითხრეს თუ: "ზოგთა დაჰხოც, ზოგთ გარდიგდონ ფიცარი!
იმათ რა ქნან, ბძანება აქვთ, მეფის დანაფიცარია;
ხმას დაჰყრიან ძახილითა, გარეშემო ვინც არია;
ვეჭვ, არ შერჩეს მეზობელთა, სახლი შენი, ვინც არია!

133
ერთი თასი სქლად მოდიდო ვჰქმენ სვეტს ცხოველს შესაწირად,
არც მწვე ბევრის ფასის იყო, სამოც მარჩილ იგ საღირად, დ
შევეხვეწე სვეტს ცხოველსა: "გამიყვანე შენ ნაპირად,
ცოლშვილთ ცოდვას ნუ მაჩვენებ, დღე შემქნია გასაჭირად!

134
რა შევსხედით წყნარა-წყნარა, ხიდის ბოლოს ჩაველ ნელა. მტკვარი
ნახეს, მდედრებრ შეკრთეს, ქალთა გასვლა გაეძნელა. უთხარ:
მგულსა შიში ნუ გაქვს, ღმერთი არის ჩვენი მშველა! ცხენს
მივეცით სადავენი, უბე-კალთა დაგვესველა!

135
ცხენნი ცურვით წყალს გავიდეს, მე ჩავიგდე სასწაულად;
ხიდის მცველთა ვერა იგრძნეს, ვერც შეიტყვეს ვერცა სულად,
ქალთ ღმერთს დიდი მადლი მისცეს, რა რომ იქნენ წყალს
გასულად!
შენ დაგვიხსენ, შემოქმედო, მიწურვილნი აღსასრულად!

136
წავედით ნელა, მივედით მცხეთის სამრეკლოს ძირამდის,
გარდავჰხე, თასი ავიღე, მე შევაწივე შინამდის;
პირჯვარი გამოვისახე, აღარ ვარ მოსაწყინამდის,
ცრემლი დავსთხივე ვედრებით, საყელოს ჩამომდინამდის!

137
კარიბრჭეშიგან ვილოცე, საყდარი დაკლიტულია,
თასი კარს წინა დაუდგი, მას შევევედრე სულია:
"გმონო, გმსახურო, მუნამდის ვიქმნე სულ ამოსულია!"
არვინ მაცალა მის მკობად, სხვაგნით მქნეს მე წასულია!

138
გამოველ, შევჯე, წავედით, მივედით მისაქციელსა,
ნუგზარ მოვიდა კარგ სიტყვით, უყურეთ მისაქციელსა,
მითხრა თუ: "ჩემს თავს რას ვაქნევ, ქვეყანა მისაქციელსა,
ჩემის ქვეყნიდამ თუ მეტყვი, აღარ გყოფ მისაქციელსას!"

139
დილაზე თვითან წაბძანდა, მივიდა ახალუბანსა;
იმ დღეს იქ დავშრით, ქალებსა ვერვის ვნახევდით უბანსა.
მე ისევ გაღმა მეძებდეს, მაღნართა უბან-უბანსა;
ლხინი შემექმნა ტირილად, ზარსა სოფელი უბანსა!

140
წავედით, დუშეთს მივედით, ვიჩივლე ჩემი ჭირები,
ნუგზარ ერისთავს უამბე, როგორც მითავეს პირები,

მან მისი ქალი რა ნახა ცრემლითა ანატირები,
მითხრა თუ: "საქმე გავხადო მეც შენთან გასაჭირები!"

141
მითხრა თუ: "ყმისგან პატრონის მოყვრობა არის ავები, ბეზღობას
ვერ ასცილდება, საქმე არს გასათავები,
შენ ხომ ზედ უნდა წააკვდე, მისთვის მოიჭრა თავები,
ან აგრე მოვა გულისა სევდითა დასაწვავები!

142
თვარე მეც შენთან მოვჰკვდები, რასაც იქ, მეც ვარ მქნელია,
"სჯობს საყვარელსა მოყვარე" დ ესე ნათქვამად ძველია.
დასდგები აქა დ გახლავარ, წახვალ, დ ვარ წამომსვლელია, შენთან
სიკვდილს და გვერც ხლებას არვინ მყავს მე დამშლელიას!"

143
ვჰკადრე თუ: მდავსდგე, რას ხელს მყრი, სადამდი შემინახევდე?
ყმათ ხომე არც თქვენ მიახლებ, მუდამ სევდითა ვახევდე,
ჩემსა სახლსა დამამულსა თვალით ვერ დავინახევდე,
ჩემსა ბედსა დაწერასა ვგმობდე და ავად გძრახევდე!ნ

144
მოვახსენე: "ერანისა ხემწიფესთან მე ვარ წამსვლელ,
სიკვდილს მაშინც გადავრჩიბი, შევეხვეწო, ვიქმნე ჩამსვლელ,
უსამართლოდ მაბეზღართა ვეღარ ვექმენ თავის ამსვლელ,
აქანამდის შუქით ვიყავ, აწ, მზევ იქმენ ჩემთვის ჩამსვლელ!ნ

145
წასასვლელად მოვემზადე, აღარა ვარ დასაღონად,
მითხრეს: "ჩახვალ შენ იმათგან, შეიქნები მოსაწონად,
რაღას გარგებს სიმძიმილი, რომ გაჰხადო ცრემლი ფონად?"
წავალ, რაღაც მომევლინოს, მოვიჭირვებ მე ამდონად.

145
ნუგზარ მითხრა ერისთავმან: "თქვი, თუ ჩემსას რასა ბძანებ?
მეც წამოგყვე უსაცილოდ, წავიდეთ და ნუ ახანებ;

მეფესა და სულ ქართველთა არას ვაწყენ, არას ვავნებ,
დიდს ხემწიფეს შევისწავლი,  ჯავრსა არსა არ ვათავნებ!ნ

147
მი უთხარ: "მე წაუიდე, აწ სხვაცა დამებრალევდეს!"
მან მითხრა შენ წაგახდინეს, მე ვინღა შემიბრალევდეს?
იქიდამ დავრჩეთ ორნივე, ნება იყოს თუ ძალევდეს,
ისრევ გაწითლდეს სპილენძი, რაგინდ რომ ხშირად ჰკალევდეს!"

## კარი მეშვიდე

148
რაღას ვაგრძელებ, წავედით, მე ცოლშვილითა ვიარე;
გზა წავლეთ საგურამოსი და არე მათი ვიარე,
ლილოს პირს ჩავლე, ლოჭინის ხევები დაუტიარე,
ყურყუთას ფონი თხლად იყო, ჩვენ დაგვხდა დასათქმიარე!

149
ესენი ღამე ჩავლევით, გათენდა იაღლუჯასა;
შეკაზმული ვარ, მივდივართ, თავი მოსწონდა ლურჯასა,
იტყოდეს ჩვენნი მნახავნი: გვანანო მაგარს ბურჯასა!
მე ეს დამმართა სოფელმან, ნეტარ ვის უშვებს ურჯასა?

150
ეს რა ვიცოდი, ცუდმუდი მე კაცი შემომბედევდა;
კოლოტაური წინ დამხვდა, თურმე ფონს გასვლას მხედევდა,
ადვილ შეპყრობა ინება, დავ გამოთხოვით მედევდა,
მან არ იცოდა სრულობით, ძალ გული როგორ მედევდა!

151
მან შემომძახა: "არ იქნა, ვეღარ ხარ ჩემგნით წასულის!" დ
უკან მამდევდა წყალს აქეთ, არ ვიქმენ ფონსა გასული.
მითხრა: "არ იქნა, ვერ წახვალ, მზე იქმნა შენთვის დასული".
ვჰთქვი: "ეტლსა მოსძაგებია, სოფლით არს გაღმა გასულის"

152
გავჰკვირდი, უთხარ: "რას მამდევ, შენ რა გაქვს ჩემთან დავია?
ბატონიშვილმან გიბრძანა, ვინ არის მუხრანთ თავია.
იგი არ მმტერობს, არ მამდევს, ჩვენ მოყვრობით გვაქვს ზავია,
ეს ჰკადრე, იცი, პატრონზე არა ვარ დამნაშავია!

153
როგორ? მე და შენებრ კაცი დასაჭერლად უკან მდევდეს,
ჩემსა ბჭობდეს დაჭერასა, ახლოს მოსვლას გაბედევდეს,
ჩემთვის ისარს მომახევდეს და სასროლად მშვილდსა ზევდეს?
მე რომ ხელიც არ შევახო, ცხენზე როგორ გარდამზევდეს!"

154
დავბრუნდი, ცხენი შევჰქუსლე, არა ვჰკარ შუბის პირია!
იგი დიბლიგით გარდვაგდე, ვარქვი: "თავს უყავ ჭირია!"
მას მამის სული უხსენე: "მორბოდი, აწ რას სტირია?"
ორგნით გვერდები დაემტვრა, გათხარა ძეძვის ძირია!

155
ვჰთქვი: "მოვჰკლევდი, მაგრა ეს სჯობს, დამიგდია დაბნედილი,
ამაღამე აქა ეგდოს, გაუთენდეს თუ რა დილი!
გავს, ტარიელ სად ტიროდა, წყაროსთან დგა ხისა ჩრდილი,
წავა, მიმწევთ გზაზე დაჰხოცს, ველარ მისწვდა ავთანდილი!

156
ჩემგან სიკვდილს და დაბნედას ნურც ცახედ ნურას ჰკვირაო,
შენს ცოლთან დაგიკვეხნია, მოურავს დავიჭიროო!
წადი და სახლი მომზადე, როგორაც გაგიპირაო,
ვეჭვ, რომ თავბედი იტირო, დღენი გაქვს გასაჭირაო!"

157 ამისთანანი კაცები საჭერლად დამდევნებიან!
ბატონის წყრომა ძნელია, თვარ მამწევს უფრო ვნებიან.
გაძლების მეტი რაღა ხამს, რაც ჭირნი გარდამხდებიან!
მეც დავაკლდები ქვეყანას ბოლოჟამ, თვარ მიხვდებიან!

ჩვენ არჯაყალას მივედით, სხვა არვინ დაგვხვდა გზაზედა,
რაც ნივთი იყო სარჩოსი, ჩვენ დაგვაყენეს მზაზედა;
ორს კვირას იქ მოვიცადეთ, იყვნენ ჩვენს სიტყვის თქმაზედა,
ჩვენს მერიქიფეს უბძანით: "წამოდექ ღვინის სმაზედას!"

159
ასრე მოგვეპყრნენ, გვმსახურეს, როგორაც ჩვენნი მონები,
რაცა ვინებით, გვანებეს, ძალი არ გვიყვეს ჩვენები,
ზოგი გრძნებითც რამ ივარგეს, უცხო რამ მოსაჩვენები;
ჩვენ ჩვენის ქვეყნით დაგვკარგეს, დასუსტდა გამომდევნები!

160
მათ მივაბარე ცოლშვილი, დადგნენ კარგ გარიგებითა,
წავედით, გზაზე მივდივართ ამოდ და ჩვენის ნებითა,
ესე მეც ვიცი, იქ წასვლა ვერა ვჰქენ კაის ცნებითა;
დგომა და წასვლა ორივე შემქნია ბოლოს ვსებითა!

151
თურმე შაჰაბაზ ხემწიფე იყო მისვლისა მდომელი.
მიველ, დამიხვდა კეთილად, არა გუნებით მწყრომელი,
ხანი რომ დავჰყავ, მიბოძის, რისაც არ ვიყავ მდომელი;
მაგრამ სევდა მწვავს სახლისა, მით ვიყავ ცრემლთა მშრომელი!

## კარი მერვე

162
მერმე ყანდაარს წაბძანდა, მტრად გამოუჩნდა ინდია;
თან წავჰყევ, კარგა ვიბრძოლე, მათ დღენი დაუბინდია!
გამარჯვებული დაბრუნდა, აწ ცრემლო, ნუღარ მდინდია;
მაშინც მოვჰკვდები, ბოლოჟამ, ნეტარ, რას შეუშინდია?!

163
ბაღდადს წაბძანდა, თან ვახლდი, აღება ბძანა ციხისა,
ძმა მყავდა გულ-სრულ, მამაცი, ხმის ამომღები, რიხისა,

მან ერთი კაცი საბრძოლად ადვილად არ შეიხისა, დ
ის იქ მომიკლეს ომშიგან, კაცება შექმნეს თიხისა!

164
დაბრუნდა, ტახტზე მიბძანდა, რა ხანმა გავლო მცირენი,
მერმე ბძანება გამოჰხდა ქართლს წასვლის დასაპირენი,
წამობძანდა და წამოვჰყევ, ჯარნი შეექმნეს ხშირენი;
არ დამიჯერებთ, მოსვლისთვის გული მაქვს ასატირენი!

165
უწინ კახეთსა მობძანდა, იცით, რომ იქმნა რაები? მეორედ
ქართლსა მოვიდა, არვინ ჰყო შესაძრავები,
ორნივ მეფენი იქმენით სამკვიდროთ დასაძრავები,
თქვენ გარდაბძანდით იმერეთს, მე რა ვჰქენ დასაშავები?!

166
მოციქულები გაახლათ მოსვლის და შერიგებისა;
თქვენ არ მობრძანდი, იცოდით მათი წყენა და რგებისა!
მეფე ლუარსაბ მობძანდა, აწ სიტყვა არ ეგებისა,
ვინც მოიყვანა, ამოდ ზის, ლახვარი არ ეგებისა! დ

167
შადიმან გარდმოიყვანა ტკბილის სიტყვით და ენითა,
მან საჯილდოო იშოვნა, თქვა თუ: "ეს კარგა ვჰქენითა!"
იგ თავის უფლად შეიქნა, მე ვარ აწ ცრემლთა დენითა,
მის წილ მე ვჰკვდები, შექნილვარ ლახვართა დასაშენითა!

168
თუ სჯობდა, თქვენც რად არ მოხველ, არა ჰქენ შემოყრილობა, თუ
ის წყალობას ელოდა, თქვენც რად არ იდევ წილობა?
ის ერანელთა შეიპყრეს, თქვენ ჰქენით მოსვლის შლილობა, დ
თან წაიყვანა ხემწიფემ, ქართლში მოჰფინა ჩრდილობა!

169
მეც ისევ თან წამიყვანეს, ძალი იყო თუ ანება,
გულსა ვეტყოდი: "სოფელმან თავი აროდეს განება!

სრულად მომავლეს ერანი, სიგრძე სად იყო, განება!
ველარ დავეხსენ ადვილად, თავი მახესა განებას!"

170

დღეს ერთს ლხინად ჯდა ხელმწიფე, უხვს თავი ჰქონდა ლაღება,
მიბრძანა: მგამხიარულდი, გულრ ცეცხლი ნუ გწვავს, დაღება,
თეთრს მოგცემ ამდენს, კარამდი ვერ შესძლო მიტან-წაღება,
სხვის წყალობითაც დაგმართო სევდათა კარის გაღება!

171

მოატანინა, დააწყვეს ტახტის პირს თეთრის გუდები,
მიბრძანაჯ,ადეგ, აიღე, ნუ ხარ მცონარად, უდებიან.
ტახტის პირს მიველ, თეთრს ჰქონდა სულ ახალ-ახალ ბუდები;
წინ დამაჩოქეს, არ ითქმის აწ ღყუილი და მრუდები!

172

გულს უთხარ, ცოტას ავიღებ დ დამძრახვენ: არ აქვს ძალები;
ბევრი ავიღო, არამც თქვან. ნხარბად შემსჭვალა თალებისნ!
ვჰთქვი თუ; "მიძრახონ სიხარბე, გული მაქვს კლდეებნ;
ბევრის აღებას ვეცადე, მით გავიმაგრე ძვალები!

173

თვითო მხარზედან გარდვიგდე, ერთი თავზედ ვჰქენ ღებულ,
თვითო ღლიასა შევიგდე, ორი ვჰქენ ხელ კიდებული,
ერთი კბილშიგან მივიეც, მით ვიქმენ აზიდებული,
ავდეგ, კარამდის წავიღე, არვისგან არ რიდებული!

174

ბძანა; "ნუ მოჰკლავთ ჯამუშსა, მის კაცთა მიუბარეთა!
მე ჩემნი ყმანი დამიხვდეს კართან რომ მიველ, გარეთა,
ოთხასის თუმნის წამოებთა ვერ ვხედავ დამაზარეთა;
გვერცავ დამისვა ხემწიფემ, ბძანა თუ; "გაიხარეთა!ნ

175

ხოსრო მირზა მე გავჰხადე ხემწიფესთან გამოჩენით;

მოვახსენე. შეიწყალე, თქვენ სიუხვე მაზედ  ქენით!"
ვეხმაროდი, ბევრს ვაძლევდი, შევიტკბობდი ტკბილის ენით;
გავამდიდრე, მე ჩამოვხსენ ღარიბობას ცრემლთა დენით!

176
ამად ამად ვჰქენი, მამით იყო ბაგრატოვანთ თესლი, გვარი,
დედას ვინღა იკითხევდა, გლეხი იყო თუ რა გვარი?
მე ხემწიფე ყურს მიპყრობდა, სიტყვა მქონდა მით მაგარი.
ყველგან წახდა ჭირნახული, ჭკუა მექმნა წასაგვარი!

177
ჩემთვის დარმა მოიღრუბლა, აღარ არის მზიანია,
ვიზედაც რომ კარგი ვჰქენი, მე შემექმნა ზიანი!
კლდე კაპანი მტრით შეკრული მე გავჰხადი გზიანია! დ
ვერვინ რა ქნის ჩემზედ მეტი თავის გასაზვიანია!

178
ბევრი რამ საქმე გამოჰხდა, ყველას აქ ვინ იქს წრასა?!
მასუკან ბრძანა ქრთლზედა, ნმართლად ვერა ვიქ მზერასა! დ
ყარჩიხანს წინ გაგიძღვანე, სინჯე თუ იქოს მზე რასა?ნ
რაც მაშინ მოჰხდა ამბითაც გული შეიქსო ძგერასა!

179
მოვიდა, ეს ვთქვი, ქვეყნისას ეს აოხრებას ბედავსა?!
ზურაბ გავენდე, ერისთავს, უთხარ თუ ვერვინ ხედავსა,
ჩემის ხელითა ეკალსა მოგლეჯს, მიძახდენ: ნზედ ავსა! დ
ვირე დაგვხოცდენ, მე დავჰხოც, ვიტვირთებ სისხლსა ქედავსა!ნ

180
ისიც დამპირდა მოსვლასა, ჩვენ პაემანი დავდეგით,
ქვეყანა იმ დღეს დადგინდა, ეს კაი ხიდი გავდევით!
მე ჯარში დაედეგ, ჯაჭვები არ ამოვიღეთ, ჩავდეგით, დ
ქართლი ჩვენი ხმლით დამაგრდა ჩვენ ესე დავიქადევით!

181
ქართლისათვის რა მე დავსთმე, როგორ ტურფა, სასურველი,

ჩემთვის ვარდი მაისისა, აღარავინ ჰყავს მას იქ მშველი,
წასვლის ღონე არსით ჰქონდა, ბევრი ჰყვანდა ჯაშუშ-მცველი,
იქ პაატა დამიკარგავს, აქ არა მყავს გამკითხველი!

182
მაშინ ზურაბ ბევრი მიმხრო, კაცი არის გამბედავი,
კაის ჯარით მამეშველა მტერთ მემუქრა და მედავა,
ომის დღესა წინ წამდგომი, დამშლელთ უთხრის: "დამე დავი!"
მოყვარე და ჩემთვის მკვდარი, ის ეტლ სრული, მე ბედ ავი!

183
მან ცოლ დასთმო, ჩაიგდო სირცხვილად სრულად არათა!
ვჰკადრე: ნუკეთესს შეირთავ შენთვის მწვე გასახარათ,
ხმალსა და სახელს აქ ჰპოებ, კელავ მზე მოგფინო დარათა! დ "
ლუარსაბ მეფის დის შერთვა შენთვის არს ეს საკამათო!ნ

184
ლოჭიზძა ბოლოს ქორითა დავიწყე ნადირობანი.
ერთი შათირი მორბოდა, "აქ მოდი," დ უყავ ხმობანი;
არ მამეწურა, ესე თქვა: ნარა მაქვს თქვენი ცნობანი".
ძალად შევიპყარ, იმ დღესა დასწყივა მისი შობანი!

165
გავჩხრიკეთ, თავ-დაბეჭდული წიგნი უპოვეთ უბითა,
ეწერა: "ქართლი აჰყარეთ, კაცთაგან დაასუბითა!
ერთპირად გამომიგზავნე, მკლავებს საბელი უბითა,
მოურავს თავი მოჰკვეთეთ, ვეღარა ქნასრა შუბითას!"

185
გავჩხრიკეთ, თავ-დაბეჭდილი წიგნი უპოვეთ უბითა,
დავბრუნდი გაჯავრებული, ნახავთ რასა ვიქ წლეულლ?
ლაშქარი ვიხმე, მოვიდეს, ჯარი გაეხადე სნეულად;
შათირი მოვჰკალ, ის წიგნი იქავე შევჰქენ ხეულად,
სამკვიდროსაგან უმკვიდროდ ვიქმენ დაკარგულ, ეულად!

187

მარტო მე რაც ვჰქენ იმ დღესა, თუ ის შეეძლოს გმირებსა?
ჩემის შუბის წვერს ყარჩიხან გაწონით გულს იგმირებსა;
იმან ვერდიბეგ, მისი ძე აეგო შუბის პირებსა!
სისქეს რაზმს შიგან ვბრუნევდი, არა თუ განაპირებსა!

188
ქართველნი გვიან მოვიდეს, რა გინდ რომ ფიცხლად ვლიდიან,
რა შემოვიდეს ჯარშია, სისხლსა უწყალოდ ღვრიდიან;
ქონებას ძვირფასს იღებენ, ცუდმუდსა გარდაჰყრიდიან, დ
მაშინ ვინც მნახის, სასალმოდ ყველანი თავსა ხრიდიან!

189
ის გამარჯვება გარდასწყდა, ვჰქენ ქალაქს ციხის აღება.
საშოვარი და ქონება მრავალი -სხვაგნით წაღება;
ვინ გაგვიმაგრდა, მას მიხვდა საყელოს სისხლთა დაღება,
მაღლა ვინც მზერდეს ზვაობით, ასრე ხამს თავის დაღება!

190
მე ოთხი საქმე ერთს დღეს ვჰქენ, რა გესმას, ბრძანოთ
"იშიან!
ყარჩიხანს რომე შევები, მის ჯარს რა დაესდევ შიშია.
იქ ახალციხე ავიღე, ქალაქს ვჰქენ იერიშია;
კახეთს რა ჯარი დავჰხოცე, სიმრავლით ვითა ქვიშია!

191
კაცს ამისთანა ყმა ჰყვანდეს, პატრონს რა უყოს მეტია!
მას აბიზღებდენ ცუდმუდი კაცი შმაგი და რეტია,
იგ მუდამ შენთვის კვდებოდეს შენის მტრის სისხლის მხერეტია,
პატრონისაგან საკვდავად, ვით ადვილ გასამეტია?!

192
ეს ყველა მისთვის გავბედე, რომ მწადდა თქვენი დიდება,
კრძალვა და სათნო მწვე მჭირდა მე პატრონ-ყმობის რიდება;
თქვენს გარდაისად ავად ქნეს სხვათ ჩემი გარდაკიდება,
თუ ჩემს უკეთესს ყმას ჰპოვებთ, თქვენც გმართებს ხელის კიდება!

193
თქვენ ყველა იცით, რად მართებს ამბისა წვრილად ხსენება,
სად ბძანდებოდი, რას საქმით, ან გქონდა რა მოსვენება,
ვით მოგიყვანე, ხემწიფევ, ან გკადრე რამ მოხსენება;
ერთპირად კახნი მის ალაგს მივასხი, როგორც ენება!

194
რა ყორჩიბაში მოვიდა, თქვენ იყავ მეფედ მჯდომია;
შებმა დავშალე მე მათი, არ სჯობდა მაშინ ომია,
არ დაიშალეთ, ომისა წილი მეც რამე მხდომია:
ცხენი მამიკლეს თოფითა, შევიქენ გარდამხდომია!

195
ცხენით გარდახლტა, მამართვა ლომან ჩრდილევნის ძემან და
მითხრა თუ: "მე ეს მიქნია, ეგ შენი ცხენი ძე მანდა";
შევჯე, მეთოფეს გაუდევ, უთხარ: "მიცადე მე მანდა!ნ
მოვეწივე და გარდვაგდე, ვერ მიდგა, როგორც ბზე მანდა;

196
მე მისი ცხენი მოვგვარე, მაზე ლომი ვჰქენ შესმული,
იმა ცხენისა პატრონი შეიქნა შუბის შესმული,
მას ვეღარ არგებს მუმია, ანუ წამალი შესმული,
ცუდათ დარჩების მოკვდავსა გარედამ ცხება შესმული!

197
იარაღს თავსა დავადეგ, მე ზარად პირაკეცილი,
შევხსენ, ავაჭერ რახტითურ, არათუ კარგ დაკეტილი,
მტერს არ დავარჩენ, არიან ჩემგან დაჭრილი, კვეცილი,
სისქეს რაზმს სადაც მივმართე, შეიქნენ მუხლ ჩაკეცილი!

198
ტყუილს არ ვიტყვი, თქვენებრივ ვერვისი ვნახე ბრძოლება,
ხან მამაშორვის ცემამან, ხან ახლოს გიყვი ყთლება,
შუბის და ხმლისა გატეხა, ლახტის ტარ ხელთა ქონება,
გავბაადურდი იმ დღესა, სიტყვა ეს იყო ხსონება.

199
რა მარცხი მოვა კაცზედა, ვის შეუძლია ბრუნება? დ
ძლევა მათ მიხვდა, უფალმან ჩვენზედ ივიწყა ბუნება,
აღარ მოგვშორდა ის ცოდვა, რომ თან გვდევს გველის ცთუნება,
ჭმუნა და სევდა გარდგვერთხა, გული მით შემეძრწუნება!

200
წამოვედით, გამოვრიდეთ, ავკეთის თამს დავივანეთ,
ოღონ ძლევა იმათ დარჩა, თვარემ ჩვენცა ბევრი ვავნეთ; ავთანდილ
და დავით ორნივ იმა დღესა ვერ ვიპოვნეთ,
რაღას ვაქნევ საქონელსა, პირველს ომში რაც ვიშოვნეთ!

201
მეორეს დღესა მოვიდეს, გაევლოთ იქით რაზმია,
ზურაბს ძმა შემოეყარა, მე შვილი მონაკაზმია;
მე გკადრე: "გახსონს, მეფეო, თქვენ აქ ხანი რამ დაზმია?
ჩემსა ჭკუას და ძალგულსა, გაცნობებ მონახაზმია".

202
სამოცის კაცით წამოველ, არ ვერიდები ღამებსა,
თხილოვანს მოველ, ვაცნობე გაბაანთ შვილს და ძმანებსა.
ქალაქით ჯარი გამოდგა, ვეჭი, შოვნას დაიშხამებსა,
აწ მოურავი გასინჯეთ, აწყენს თუ რას აამებსა?!

203
დათხარეს ლის, წოდორეთი, დაწვეს, ცეცხლს უყვეს კიდება.
რა მინდვრათ ჩამოვიცადე, მეც უყავ განაკიდება,
ფიცხელსა ომსა შევასწარ, ვეჭვ, უმძიმსთ გარდაკიდება,
მათ ნაშოვარი მოსძაგდათ, გაყარეს ანაკიდება.

204
შვიდას კაცს თავი მოვჰკვეთე, გავსწყვიტე მე სამოცითა,
მკლავი დაგვიშვრა ხლმის ქნევით, გარდაყრითა და ხოცითა,
ხან შევიბმოდი ოცდათით, ხან ცოტას ჯარით, ოცითა,
ათს დღეს ლაშქარი დაგუბდა, ქართლი ველარ ყეეს მოცვითა!

205
ყველგნით წავიდა ხიზანი, რადგან ჩვენ გვექნა მარცხთა,
რა ლისის ომი მიესმათ, საქმე ქნეს აღსარაცხია;
ქვა არსად არის ქართლშია, რომ ჩემი სისხლი არ სცხია,
სხვას კაცს კი არ შევიდარებ, თქვენი არა ვარ ნარცხია!

206
ცოლშვილსა კაცი უჩინე, სამცხის გზას უყავ კეთება,
ვჰთქვი: ერთხელ კიდევ დავხვდება, ხმალმა ეგებ ქნას მკვეთება?
ღართის-კარს დავხვდი, სახმილი ჩემგან მათ წაეკეთება,
კარგიც რომ კაცმა ბევრი ქნას, დ მტერს მაშინც არ ეკეთება!

207
წიწამურის თავს დავხერგე, შეუკარ ღართის-კარია,
თხრილი უწინვე წამევლო და გზები განაკარია,
სადაც ვიწონი, ვიბრძოდი, მათ აჩნდა დანაკარია,
ავჭალით ახალციხემდი შეკრეს არაგვი, მტკვარია.

208
სიმრავლითა მოგვერივნეს, რადგან მიხვდა პირველ ძლევა,
შუბი გატყდის, ხელი მივჰყვით, მაშინ შევჰქნით ხლმისა ქნევა,
იმ დღეს თავი ვინ დაზოგოს, ისიმც კაცი დაიწყევა,
რა გასჭირდის, უკეთ შევსძლი, ასრე მქონდა ომის ჩვევა!

209
რა იარაღი დავლიეთ, მაშვრალთ მიგვჭირდა ომია,
წეროვნისაკენ უკუვდეგ მოღალულ დანაშრომია.
კარგად მიგდებდა პატრონი, დ მეფე აიყვის მწყრომია,
მუხრანში დადგა ლაშქარი, სიმრავლით უსაზომია!

210
ავკეთს მიველ, იქივ დამხვდა მამაცი და მეფე ბრძენი.
მიბრძანა თუ; "როგორ მოჰხდა, ვინღა შეგრჩა, ან რა ჰქენი?ნ
მზოგნი ცოლშვილთ მიეშველნეს, ზოგნი მახლავს კიდევ მხნენი,
მაგრა თქვენი წასვლის დროა,ნ ... ეს სიტყვანი მე ვით ვთქვენი!

220
მე დავდეგ, ხალხი გავგზავნე, შევიქენ ჯართგან სუბანი;
სამოცი კაცი კიდევ მყვა, გვეცვა შალისა ჯუბანი,
ზოგი მშვილდისარ-თოფითა, ოცსა გვაქვს ცხენზე შუბანი,
კიდევ გიამბობ, ქსანზედა ვადინე სისხლის გუბანი!

212
სპარსთ ზურაბს სიტყვა აჰკიდეს: "მოგვეც მართალი პირია,
არშიდამ ქალს გამოვიყვანთ, მოგვცე, არ გვიყო ჭირია;
ხემწიფის შვილი, თვის ტომი, ძვირად და დიდ საღირია,
თვალად ტურფა და კეკლუცი, თმა მოგრძე, ამბარ ხშირია!

213
ერისთავმა თქვა ფიცითა: "აქვს ჩემგან დაუშავება!"
ჯარი გაგზავნეს მრავალი, ზურაბ თქვა: "არა შევება!"
გიორგი გულში ამბობდა: "ხვალ ბევრი მე მეშოვება. დ
მეორეს დღესა ლაშქარმან, იცით, თუ რა იშოვება?!

214
მთიულნი ავლეს, არშასა მივიდნენ შიშნეულობით;
მათ ქალი გამოიყვანეს, წამოვლენ, ვით სნეულობით.
ქსნის გზაზე გამოემართნეს, შეიქნეს არეულობით,
რაც მოჰხდეს, ახლა ისმინეთ, დღეითგან აწ წასულობით!

215
მათ ქალი მოჰყავს, გარდმოვლეს უწყინრად ხევი ხადანი,
უკან გიორგი მოსდევდა, დ ვალს უნდა გარდახადანი; დ
მეც მიველ, წინ გარდაუდეგ, ვიყავ იასეს ხადანი,
რომელსაც მოვხვდი, გუდურებ უყვი ტყავისა ხადანი!

216
მე ხუთი ქეში ისარი დავლიე მათზე სროლითა,
გზის ასაქცევი არ ჰქონდათ, ქარჩოხით, არც ისროლითა,
ამოვსწყვიტეთ და დავჰხოცეთ, ქსანს სისხლი შევასწორითა.
ალაგს და უადგილოსა კაცი ეყარის გორითა!

217
სისხლი რუდ მოდის კაცისა, ქსნის წყლისა არის მღებელი.
როდეს ისარი დავლივე, ხლმისა ვარ ამომღებელი;
რაც რომე იმათ დათესეს, თავს ექმნა გამომღებელი,
კარგს იარაღთ და ცხენების ვიქმენით წამომღებელი!

216
ქსანი შეიქნა ორს კვირას სრულად სისხლისა ფერადო.
ხევები მძორით აივსო, კაცი ვერ მორჩა ვერადო,
რომელიც მორჩა ცოტა რამ, შეიქნენ გასაშტერადო:
უკვირდათ ჩემი საქმენი, ვის თვალნი ჰქონდა მზერადო!

219
ყაზახის ხანი შევიპყარ, არ მოვჰკალ, იქ დავაბია,
სამი სულთანი მასთანა ერთმანერთს გარდავაბია,
მათად სასროლად გსმენია, მშვილდსა თუ სად ავაბია,
ოქრო-შეკაზმულს ცხენს შევჯე, მაგარი სადავაბია.

220
აბა მიბძანეთ, სხვის კაცის ეს სამსახური მეფეთა,
ხლმის განაკვეთსა სინჯევდით, თუ ხორცი როგორ მეფეთა!
გზას დამიგდებდეს მებრძოლნი, პირისპირ ვგრვინ მეფეთა,
ლხინს და გაცემას, ალერსსა, მიქებდეს სიიეფეთა!

221
უხვი მით მქვიან, ერთს დღესა ვარ ქართლ-კახეთის გამცემი,
საქონლის დაუშურვალი, მტერთა ლახვრისა გამცემი;
ძალს იგი მაძლევს, ვინ არის ყოველთა უხვად მამცემი,
ერთის ათასად გამხდელი და ზევრეულთა მამცემი!

222
სრულად ერანი მოვიდა, ქართლის ქვეყანა აივსო,
კაცს და ტყვეს ვერა ავნეს-რა, გლეხთ სარჩო დიაღ დაივსო;
მეც ავიყარე, გაბრუნდენ, ნახავთ რა უყო ჩაისო,
წლეულად ესე მივნია, ზოგი მიყურეთ გაისო!

223
მე სამძიმარი რაც მქონდა, ვსდევ თიკნაზერას ციხესა,
კაი მცველები დაუგდე, ხელი ეერავინ მიხესა,
იქ მდგომნი ყველა მიძრწოდა, მონებდეს ჩემსა რიხესა,
ვერვინ შეუა მებრძოლი, კარები ჩაიმიხესა.

224
ალ, სურამი გავამაგრე, არ არს ადვილ ასაღები,
ფთხილობდეს და გუშაგობდეს, არ არიან სულ დამღები,
ადვილ ძალად ვერ წაართმენ, ვერ არიან ზარგთ წამღები;
უთხარ: "ადრე მოელოდეთ, მალ გეწევა სისხლთა მღები!"

225
ქართლიდამ წაველ, ცოლშვილი მივასხი ახალციხესა,
მესხთ ბძანეს: "იმა ლაშქართა შენგან ლახეარი იხესა,
ჩვენს მოდგომასა გაცნობებთ, ბაქსა, ძალსა და რიხესა,
ამხანაგს, ვისც არ უნდოდე, მეფენიმც გაირისხესა!"

226
ზოგ-ზოგი ბარათიანი თან წამყვეს ცოლშვილიანად,
გიორგი ქავთარიშვილი, გერმანოზ მსახურ-ყმიანად.
სხვა მსახურ მარჯვე კაცები, მსვლელნი არა თუ გვიანად,
იმ თემის აზნაურშვილნი მოვლენ თამამად, ხმიანად!

227
ახალციხე და აწყვერი, ხერთეის და ფარავანია,
ყიზილბაშთ ჰქონდა ციხენი, შიგ ჭანი ან საკანია;
ზოგი მე ძალად წავართვი, ვიხმარე კარგ რაკანია,
ზოგი იმათვე გაუშვეს, გასცვივდა თეთრ, დრაჰკანია.

228
გიორგი ქავთარიშვილი სიტყეა-პასუხის მთქმელია,
ხვანთქართან ამად გავგზავნე: "თქვენ იყავ ჩვენი მშველიაეს!
ციხეები ავიღე, თქვენ გამოგზავნეთ მცველია";
ხემწიფემ ბძანა: "საქმენი უქნია კარგ საქნელიას!"

229
ბძანა თუ: "ვერვინ წამართმევს, ჩემია სრულ სამცხენიას!"
ხალათი გამოეგზავნა, კარგ ბედაური ცხენია!
ემბრი ებოძა: "გამაგრდი, არ გქონდეს სიმარცხენია."
გიორგის ბევრი ეშოვნა ქონება ურაცხენია.

230
მეფემან პირად არ ბძანა, გულშიგან შექნა წყენანი:
"როდესაც არის, იქნების ამის სისხლისა დენანი;
მე დ მეფე, ამას დ სახელი, ხვანთქართან თავის ჩენანი,
ქართველთა ასრე დახვევა, ზოგთ ზავთით შესაშენანის!"

331
როსიტა გედევანის ძე, დ ერდგული, თავდადებული, დემეტრე
საგინაშვილი დ იყო ჩემთანა ხლებული;
მათარსი შიხაიდრის ძე, დ ჭკუისა მქონე, ცნებული,
პაპუნა ვაშაყაშვილი, დ ჩემთვის მკვდარ, თავწამებული!

232
სხვანიც ხომ ბევრნი მიახლნეს, ესენი გაუყრელია,
საათაბაგოს მივედით, მესხნი კარგ შესაყრელია,
მათი სიტკბო და სიამე სევდისა უკუმყრელია,
რომელიც გაწვევს სალხინოდ, ხელის ხელ ჩასაყრელია!

233
დაუთ-ბეგ გოგორიშვილსა მკვიდრად აქვს ციხისჯვარია,
მითხრა: "ხელთ მოგცემ ციხესა", მან დაიფიცა ჯვარია.
აფიეთს დავდეგ, მე მახლდა კიდევ კარგა რამ ჯარია;
მესხნი ყოფილან მოყვრისთვის თავისა გამსაჯარია!

234
ფარად ფაშა ხომ სიძედ მყვა, თავდადებ, ჩემთვის მკვდარია,
თანუნა დიასამიძე; კაცი ბრძენი და წყნარია;
შან მითხრა: "თრიალეთისკენ ასპინძა ახლო არია,
ყმა და ამბავი მოგწვდების, ავი თუ გასახარია!"

235
ხალხი ციხეში ავასხი, მე დაბლა დ ძირსა ვდგებოდი;
რა იქ სადგურად დავდგინდი, მწადდა რომ მეფეს ვხლებოდი!
ვნადირობდი და ვიშვებდი, ხან მთაზე ვიარებოდი,
სევდასა მოვიქარვებდი, კაეშანს გავეცლებოდი!

236
სრულ მესხნი ტკბილად მომეპყრნეს, ჩემთანა სადგურობდიან,
უფროსნი მიალერსებდენ, უმცროსნი კარგა მძღნობდიან;
რა ამბავს თავი ახსნიან, ხან ჩემს ქებასაც ჰხმობდიან,
მათაც წყალობა უყვიან, ერდგულნი ვინც მე მყმობდიან!

237
შალიკაშვილი როსტომ და ელისბარ თაქთირიძეო,
ყაენთან სწორად ვიყავით, ერთი ძმა, სხვა კი ვიძეო;
როსტომ თქვა: "იცი, აჭარას კარგა მამული მიძეო;
იქ დადეგ, რადგან ქართლითგან ჯერხანად გამოიძეო!ნ

236
შე ვჰკადრე: "იმერეთს ჩავალ, გიორგი მეფეს ვნახაო,
მათსა საქმესა ყველასა გულშიგან გამოვსახაო,
მასუკან იქით გარდმოვალ, ლხინი მაქვან თუ "ვახაო!"
ცდას არ დავაკლებ საქმისას, ქართლს კიდევ დავინახაო!"

239
მე ყიზილბაშნი მეგონა, გავლიდეს ჩვენსა ზღუდებსა,
რიდი არ მქონდა მტერისა, თავს მოვიხდიდი ქუდებსა,
ხან ზარზმამდისი ავიდი, ხან ჩამოვიდი უდებსა,
ამაში ჯარი მოგვიხდა, ვნახავთ, თუ ცეცხლს ვინ უდებსა?!

240
მე მთაზე ვიყავ სათოფეთ, ციხეს ვთქვი ასვლა ძისანი,
დავხედე, არე მოიცვეს საფარა. ასპინძისანი,
დიასამიძის დახდომა, ომი თქვეს ორთავ ძმისანი,
გავჰკვირდი, ნეტარ რა უნდათ კაცისა განაძისანი!

241
რა მოვიდენ, კარგა დავხვდით, ვეღარ გვიყვეს იმათ ბრძოლა,
დაგჰხოცეთ და ამოვსწყვიტეთ, მათ შეექმნა ცხრო და
თრთოლა,
ვინც ითავა, მანც ავად ქნა, ან ვის ექმნა წამოყოლა,
გზის ზელადი, ასრე გვესმა, მთას გარდვიდეს, ჩაექოლა!

242
ასპინძამდი ასრე ვდივეთ, მათ ეგონათ ხევი ვაკეთ,
ნაშოვრისა დანაცვივნით ჩემს ყმას კიდევ კარგა ვაკეთ;
ჩვენს, სევდასა უკუ ვიყრით, მათთვის ცეცხლსა უგზებ, ვაკეთ;
იმ თვის ჩვენთვის მათი მოსვლა არ შეიქნა მოკლე, ნაკეთ.

243
ბეჟან მითხრა, თაქთირიძემ, "იმერეთს ვარ ბევრჯელ მსვლელი,
მეცა თანა წამოგყვები, მეფესთან ხარ თუ მიმსვლელის!ნ
მიველ, მეფის სიკეთისა ვერ ვარ თავის მე ამსვლელი,
რაც მიბძანის, იმას ვჰყოფდი, ვინ არს მცნების გარდამსვლელი?

244
დამხვდა კარგა, თავდაბლურებ, მან შემიწყო ტკბილად ხელი,
პურადად და გულ-კეთილად მწვე გასლოდა მას სახელი,
დადიანსაც ეს ებძანაა,მეც ვარ მკვიდრად კაცი ძველი;
მიმცემი და მოალერსე, დაჭირებულთ კაცთ მიმშველინ.

245
მეფემ მიბოძა დასტური, ვლე არე ოდიშისანი,
იგიცა კარგა დამიხვდა, ქება არ ძალმიც თქმისანი,
ყმათ ორთავ მომიპრიანეს, ვეღარ ვჰქენ ყმობა სხვისანი,
ისევ მეფესა ვიახელ, დამხვდა, არ თქმულა ძმისანი!

246
სულ იმერელნი მომაკრფეს მეგობარ-ამხანაგებად,
მომგონდა ჯერნის სროლანი, როდეს ჩავიდი ნაგებად,
ცეცხლი მამედვის წყენისა, შემექნის გულსა დაგებად, ...
რაც რომ სახლები დამექცა, როდისღა შევსძლო აგებად?!

147
მეფესა ვსთხოვე დასტური, გარდმოელე მთანი ოცხეო.
მთას აქათ წყალი გაუდის, დიაღ ცხელი და მოცხეო;
გულს უთხარ: "ისრევ გამაგრდი, ხმალს კიდევ სისხლი მოსცხეო;
გამოძებული რას ვარგხარ, ან იცხე, ან შემოსცხეოს!"

248
ინაშვილი მყვა მსახური, მის დროს მტრის კარგა მცემელი;
ნახშირის გორით მოვიდა ციხისა გამომცემელი,
მიამა, შევჯე, წამოველ, არ ნაღარათა მცემელი,
სხალნარში მოველ დაფარვით, არ მაღლა გარდამცემელი.

249
ქალაქს ჯაშუში ჩაეგზავნე, მწადდა ციხისა აღება,
შიგ მყოფთა ყველას დახოცა და საქონლისა გაღება;
გუშაგთა გვიგრძნეს, შეგვიტყვეს, ვეღარა ვჰქენ რა წაღება,
წაველ იმ ზამთარ სამცხესვე, იქ დავჰყავ მარხვა, აღება!

250
ფაზაფხულ ქართლში ჩამოველ, მეფევ, თქვენც ჩამობძანდია,
როგორ გმსახურე, გაამე, ტახტზედა რა დაბძანდია,
თუ მაშინ ყმადა გყოლოდი, ხვანთქართან არ წაბძანდია!
მზას დაგახვედრე ქვეყანა, გკადრე, თუ: მალ მობძანდიას!

251
რაც ქართლისათვის მე ვჰქენი, ცოტა რამ გკადრო მცრობილი,
ტყუილს ვერ ვიტყვი, ამისთვის არს ბევრი კაცი სწრობილი;
შეც მემკვიდრე ვარ ამ ალაგს, არ შემოსწრებით ხმობილი,
ზოგჯერ უქნელი საქმე ვჰქნი, გავჰტეხი რაზმი წყობილი!

252
ეს ასრე იქნა, რაც მოჰხდა, თქვენ ყველა იცით სრულებით;
ვისცა ვხლებივარ პატივით, გვერცა ვსჯდომივარ სრულებით;
ჩემნო მებრძოლნო, შეგიპყრობ, აღარ აგიშვებ, სრულ ებით,
შე თუ გარდავჰხდე, პატრონო, თქვენმცა ნუ დაესრულებით!

253
თქვენთვის ვსძრევდი მე, მეფეო, თავსა, ხელსა, გულრა, ტანსა,
შამხალამდი მივაწივე, მე მიუხე დაღისტანსა,
მოვარბევდი ქვეყანასა, მოვიღებდი მოსატანსა,
უშიშარად მტერს ვებრძოდი, მაგრა უდეგ მე სატანსან!

254
ხმლით გაგჰტეხე ოსეთი, ავიღე მაგარ ციხები,
უფროსნი კაცნი გავბეგრე, გაუშვი ზავთი, რიხები,
ჩემის შიშითა შეწუხდეს, დაისვეს გულსა მიხები;
მტერნო, თქვენც იცით, ჩემის ხლმით მრავალჯერ დაიწნიხები!

255
მე შევაშინე, შეშინდეს სულა ქვეყანა ოსისა,
ვახტანგ რომ მოკლა თარაყან, ბაღათარ ორნივ დროსისა.
ვინ მომივიდნენ, ხალათით აივსნენ სრულად მოსისა,
ვით ისრაელთა არ შერჩა გარდაკიდება მოსისა.

256
პაპუნა ვაშაყაშვილი, თამაზ, ვინ ქარციძეობდა,
წინა მიმიძღვეს მამაცად, არ ვიც, რომელი ზეობდა,
კაცები დარჩა დიდგვარი, ესენი მათზე მძლეობდა,
თამაზს მაჩაბელს ისარი მიკრეს, ვინ მშვილდსა ზეობდა!

257
მელიქ ათაბეგ მჩხუბევდა, ენას ჰხმარობდა გველადო,
ლოვრის სიმაგრეს შემიდგნენ, ვერ მოვიხელე ველადო,
მელიქს და ზაქუმს ჯაშუში მე დავაყენე მცველადო,
მიუხე, ვეღარ დამაგრდა, კლდეს ექმნა შიგ გამძვრელადო.

258
საქონელი და ცოლშვილი ყველა ხელთ დამრჩა სულობით,
იგი გარდმეჭრა, წავიდა, იარებოდა სულობით,
ვეჭვ, მათი ხმალი დაჟანგდეს, პირი წაუხდეს სულ ობით,
შევსთვალე: "მებნე ცოლშვილი, როდეს მოხვიდე სულობითს!"

259
ქაიხოსროს ჰყვა მოყვარედ როსტომხან სპასალარია.
მრავალჯერ გამოუგზავნა ოქრო, ვერცხლი და ლარია,
მაგრა იმათგან შოვება ბოლოჟამ ერთობ მწარია,
არ დაადგრების სამკვიდროდ, აღუტყდეს სითმე ქარია!

260
ხუთასი კაცი მეთოფე მან გამოგზაენა ბირთვისსა,
ამან ციხეში შეუშვა, თვითან გარ კაზმით ირთვისა;
იმათგან ამან ფეშქაში თავთავად კვლავ მიირთვისა,
გარ მოდგომილის მტრისაგან ადვილად არ წაირთვისა!

261
შემოუთვალე: "ნუ გვიზამ, ქართლს ნუ მოსტეხე ზურგია!"
ეს ეთქვა: "მათ მეტს სხვას ჩემთვის ნეტარ თუ ვის რა ურგია?ნ
ვჰთქვი: "სასახლეში მოვნახავ, სად რომე ცაცხვი ურგია,
რად გვიშვებს ამხანაგებსა, სამანი გარდაურგია?"

263
გორიდამ წაველ საღამოს, ტბისს მიველ,
რომე ინათა; სასახლეს გარ შემოვერტყი, გალავანს გარ და შინათა,
გარ გამოვიდა დილაზე ულვაშღებული ინათა; შევსძახე: "კარგა დაგვიხვდი, ღვინო დაგვისხი მინათას"

263
კვლავ უთხარ: "რაღას უშველის ხელისა გამოღებანი?
მოდი, შევრიგდეთ, ერთადვე ვჰქნათ ხმისა ამოღებანი;
ციხე კარგგვარად ამართვი, ვჰქნა იქ მდგომთ სისხლთა ღებანი,
იგინი მამეც, საქონლის შენვე ქენ კვლავ წაღებანის!"

264
რა ღონე ჰქონდა არ ექნა იმ დღესა ჩემი ნებანი?
გამოიტყუა ერთპირად, იხმარა კარგი ცნებანი;
თოფები ყველას წავართვი, უყავ ერთს ადგილს დებანი!

მათ მოუიდა იმ დღესა დღე აღსასრულის, ვებანი!

265
სულ გამოვასხი ერთპირად, სიმაგრე დავაგდებინე.
ხუთასსა კაცსა იმ დღესა მე თავი გავაგდებინე,
ციხეს მეთოფე შეუშვი, მათ კარი მოვაგდებინე,
მძორები ხევში ჩავჰყარე, თავები გარდვაგდებინე!

266
იქ დავიჭირე ხოსია, არ უყავ ტკბილად ხმობანი,
თიკნაბერასა დავაბი: "იყავ, ვირ მოვლენ ცნობანის!"
მეფიცებოდეს ყოველნი: "აწყა ვჰქნათ მწვე დანდობანი,
აღრ გავიტეხთ ნამუსსა, თუ გვწამს აღდგომა, შობანი!"

267
სისხლის და ცოდვის, დ ორისავ მწვე დიდად ვიყავ კრძალული,
მაგრა ქართლისა მინდოდა რგება და მწვე სიხარული!
მათ მოჰფენოდა კეთილად, მზეს ემზო დარი დარული,
მათთან სიკვდილსა ვჳერვიყავ, როს ვიყაე გაუმწარული.

668
ქველს წერეთელსა ებძანა ადვილად ჩემი მუქარა;
მიუხე, დავსწვი, დავდაგე, ადვილ წაუხდა რუქა რა.
წამოველ, უკან მამდივა, ნიავმან ვეღარ უქარა,
შევსძახე: "ცუდათ გაგიცვდა გლახ შენი ბაქი-ბუქარას!"

269
ახლოს მომმართა საბრძოლად, იყო კარგისა ბედისა,
ორი ისარი გულსა ვჰკარ, ხსენება შექნა დედისა,
მამაცი იყო, გულსრული, საომრად შემომხედისა,
ისივ გაბრუნდა, შეტყორცა რა ნახა ზედიზედისა!

270
სად მოვსთვალო ჩემი ბრძოლა, ანუ ომთა ჭირნახული?!
მე, მეფეო, შენთვის დავდე თავგაწირვით ტკბილი სული,
რაღას მარგებს ცრემლთა დენა, ანუ საქმე გარდასული,

რას არგებდა მაზიზღართა ჩემი მოკვლა, აღსასრული?!

271
არვის მივსცემ თავს საკვდავად, რაცა გწადდა იგი ქენით,
ამ საქმეთა გამზედავი როგორ მოვჰკვდე ცუდის ენით,
ერთს აზნაურს ვის უქნია ჩემოდენი ხლმისა შენით!
რად გამხადე ვალდებული მუდამ სისხლის ცრემლის დენით?

272
მე მეფეთა ორგულობა არა მთქმია არვისაგან,
რაცა შევსძლი, ერთს არ ძალუც, არ გამოვა არვისაგან;
ლომთა ვიყავ მე მებრძოლი, არა გვარი არვისაგან,
შუბის წვერთა რკინა ექმნის, გული ჩემი არვისაგან!

273
თუ სიკვდილი ჩემი გწადდა, რასთვის მტერსა არ მისივე,
მათ მოვეკალ, ხემწიფეო, იქნებოდი თქვენ ისივე,
ლაპარაკი, ცუდი ენა, ჭორის სიტყვა ამისივე,
გამიცუდე ნამსახური, ჯავრით გული გამისივე!

## კარი მეათე

274
მეფემ შესთვალა: "რაც გითქვამს, სრულ მართალია ყოველი,
მაშინვე გითხარ ფიცითა, როს მოგეგზავნა მროველი,
არც არას სისხლსა გადევებ, არც რას ავს შენგან მოველი,
თავდებათ მოგცე, არ მოგკლა, უცილოდ ძელი ცხოველის!"

275
აღარად მოჰხდა, არ იქნა შეწება, ცუდად რიგება,
გაყრა შეექნათ, ვეღარ ქნეს ერთად სიტყვისა მიგება;
რა მოიშალა, ვინ იცის, რა წყობა, რა გარიგება?
ვინ მოაშორვა, მის გულსა ლახვარიმც ადრე იგება!

275
ბძანება არის, ბატონზე ყმასა არ გამარჯვებია,

ბატონი რომე ტყუოდეს, ისრევ ყმას დამარცხებია,
თვარ უხლმოდ როგორ დავდგები, რომ ვიყო სრულ ნარცხებია,
ბევრთა მებრძოლთა თავები მიწათა მინარცხებია!

277
რაცა დაწერეს პირველად, იქნების, არ ასცილდების,
პატრონის შებმა არა ხამს, ყმას ხმალი გაუცვილდების;
რაგინდ ყმას ბევრი ჯარი ჰყვეს, ცრემლი იმასვე სდინდების, დ
ესე მსმენია, ამისთვის ცეცხლი წვად გამიხშირდების!

276
გამარჯვება ხომ მას ხვდების, ეს სიტყვა მწვე მართალია,
მამაცი არის, უებრო, არვინ არს ნაათალია;
ეგებ მაბეზღარს კაცს შევხვდე, ხმალმა ქნას სამართალია,
ბატონისას კი არ ლირსვარ, სხვა მტერთ ვაჩვენო ძალია!

279
ზოგთ ბაგრატოვანთ ასრე სჭირს, არ ახსონს სამსახურია;
რაგინდ რომ ბევრი აამო, ბოლოს არ გიგდონ ყურია,
მაბეზღარს სიტყვას უსმენენ, ვის ვისთვის რომ აქვს შურია!
ვის რა გაოდა, ქართლშია მეც რომ მეჭამა პურია?!

280
როს ყმა გარდაჰყვეს პატრონსა, მსახუროს ღარიბობასა,
პატრონისათვის კვდებოდეს, იქმოდეს სახლის თმობასა,
მამულს და ალაგს განშორდეს, თვისა ტომსა და ძმობასა,
მასზედან მისი პატრონი რად არ იქს იაფობასა?!

281
რა მეფე სვიმონ შეიპყრეს, კაცი მხნე, სახელ დიდითა,
ქართლს ხმალი იმან შეარტყა, მტერნი გახადა კიდითა,
სხვანი მებრძოლნი ყველანი თავს მდაბლად მოუხრიდითა, დ
მას აქათ თათარხნამდისი ომით სისხლრს არვინ ღვრიდითა!

282
კაცი რომ ავად გახდების, აქიმს უქადებს მრავალსა,

უთუოდ მოგცემ, დამჯერდი, როს ფეხზედა მყოფ მავალსა,
მუდმად თავს შენთვის ვამყოფებ, მეც რასმე დაგდებ კვლავ ვალსა,
დამიხსენ სალმობისაგან, 'ნუ მყოფ სულ ამომავალსა!

283
აგრევ კიდევე, ვის სადმე რომ ჰქონდეს დაჭირებანი.
რგებას გაჰპირებ მაშინვე, დაგიწყოს შესხმა, ქებანი,
გეტყვის: "ვირემდის ვსცოცხალვარ, ვჰქნა შენი სიამებანი,
ბოლოჟამს დაავიწყდების საქმისა გარიგებანი".

284
აბა, რა ვჰქენი, მეფეო, რა დავსდევ თქვენზე ვალები?
თქვენისა ერდგულობისთვის ნება ვჰქენ, ზოგი ძალები,
რა შენ პატრონად შეგმზერდი, გამხიარულდის თვალები,
სადაც მიზრძანი გასევა, გული მიმქონდის სალები!

285
ესეცა თქმულა, რომელიც კაცი თუ მართლა კაცდება,
ხდალი, უღონო, რომელიც მიიწევს, მას ვერ ასცვდება,
იარაღ-მოშლილ ჯაბანი რას ესვრის, ყველა დასცდება,
მამაცს და პურადს უძრახავს, იტყვის: "შალურებ გაცვდებას!"

286
ამხანაგთ მისთვის მაზიზღეს, იტყოდეს: "კაცი ვარგია!"
ქართლ-კახეთისა მამრჩენი, მიკვირს, რად დავიკარგია?
პატრონის შემმატებელი, ამხანაგთათვის მარგია?
გვერც გისხდენ მაბეზღარები, ჩემთვის ეს როგორ კარგია?

287
ზურაბს შევსთვალე: "რაც იცი, 'სრულ ჩემი ნასწავლებია,  ოსტატის
არ ჰხამს ჭიდება, ვისაც შეგირდი ხლებია,
როდესაც მე დავიკარგო, გაჩნდების, ვით დასდგებია!
ორთავე სწადდათ სიკვდილი, აწ მარტო გარდაჰხდებია.

288
მოყვარე ხარ გულითადი, რა მიქნია შენზედ ავი,
მამათქვენმა რა ქნა ჩემზედ, ვით გარდადვა საკვდად თავი!
მიკვირს, შენ რად გამიმეტე, რამ მოშალა ჩვენში ზავი?
მეც დამკარგავ, საქმეც ჰქენი შენის დღისაც გასათავინ!

289
ვირ ცოცხალ ვიყო, შენც გქონდეს იმედი სიცოცხლისაო,
ესე სიტყვანი გახსონდეს სიძის მონახულ ბრძნისაო,
ვირემ სული მითქს, სიკვდილი შენი სხვამ ვერ იგრძნისაო,
შენი სადავე საკვდავად ჩემზედა ნუმც იძვრისაო!

290
რა მე მამკვლენ, ან დამკარგვენ, დაგიწყებენ მიზეზებსა,
სიტყვით თავსა ვერ აუხვალ, პასუხისას შეჰკვრენ გზებსა.
ახლა მგონი მუხრანს გაძლევს, შეიშურვებს მთას და ზეგსა,
როდესაც რომ გიხელთებენ, აზნელებენ შენთვის მზესა!

291
ზურაბს ეთქვა: "მოყვარეც ხარ, მერმე კარგი ამხანაგი,
ჩვენსა შუა არ ყოფილა წყენა რამე ერთი დანგი,
მაგრა ბატონს მოვდგომივარ, რაც რომ ძალ-მიც, მე ვარ მარგი.
მზის მამას რომ არ უშველო, მე რას მეტყვას პირი მანგი?"

292
ზურაბს რაღას შეუთვლიდი, ის მიუდგა მაგრა, ბურჯად,
ცოტას ხნისა სიძე არის, შეიტყობთ, თუ იქნას ურჯად,
დაუწყებენ ბეზღობასა, სისხლს წითლად ჰქმენ, ხორცსა ლურჯად;
ავსა კაცსა ავი სიტყვა და ბეზღობა უჩანს უნჯად!

293
სპარსთ ვეღარ ვნახავ, მათზედა, იცით, ვარ დამნაშავია.
როდეს ლუარსაბ დამმოყვრდა, ისიმც დღე არის შავია!
კეასრის ტახტსა მივმართო, კარგი მექნას თუ ავია,

შუა ნუღარვინ ჩამოვა, აღარ მოჰხდების ზავია!

## კარი მეთერთმეტე

294
თაო ჩემო, ვით გასრულო, სევდიანო, როგორ წყლულო,
საქართველოს რჯულისათვის ათას ფერად წამებულო,
მეფეთათვის რა ნასაჯო, ნამსახურო, რა ერთგულო,
აღარ შეგრჩა ნოსტეს ლხინი, ალაზ, სტამბოლს დაკარგულო!

295
ვა, დაგაგდებ სახლ-სამყოფო, სად კარგო და სად ავებო? შორგვარ
დავრჩი მეზობელთა, ვისთანც ვიყავ სა დავებო: ავჟანდათა
სიმაგრენო, მე სად გძრევდი სადავებო?
რამდენს მოვრჩი ძნელს ბადესა, ახლა კიდევ სად ავებო?

296
ვინც იცის, თუ შენ რამდენჯერ მტერი შენი განაბია,
რომელიც რომ იწადინა, აღარ მოჰკლი, გან აბია;
ლხინობდი და იხარებდი, ხელთ გეჭირის განა ბია,
თუ გავარდი სამყოფთაგან, ქვეყნის სიგრძეს განაბია!

297
თაო ჩემო, სად მოჰკვდები, ანუ ვისსა სამარებსა.
რას დალახავ ქვეყანასა, იარები სამ არებსა;
მოშორდები მოყვარულთა; შენ ხარ ვისსა სამარებსა? დ
სამყოფთაგან გააბეხზრდი, კარსა გავლი გასარებსა!

298
ეს სოფელი ასეთია, არ დაინდობს კაცსა აროს,
ვინც იყვენით, ძნელი საქმე მაშინ უყავ იცით აროს;
აწ მეფეთა გაწყრომილმან თავმან ჩემმან სითკენ აროს?
მე წავიდე, დავიკარგო, მტერმან ამით გაიხაროს!

299
ვინ მაბეზღებს ენა ყბედი, მოაგონდა იმას ის რით,
რა მე მეფეს მომაშოვრებს, მას დაამცრობს იმას ის რით?
ჩემნო მტერნო, თქვენი გადის, რაც რომ გინდა, იმას ისრით,
თუ ჩემიც რამ გავიდოდეს, სცნობთ, რას უზამ იმას ისრით!

300
ქართლს მოვავლე გალავანი, აწ ვინ აქცევს ზღუდეებსა,
ჩემად ნაცვლად ჩემს სამკვიდროს ვინ დაიდგამს ბუდეებსა;
ვერ მიფერებს ვერას საქმეს, თავსა გაიცუდაებსა,
მეფეს ტყუილს მოახსენებს, უმგზავსოს და მრუდაებსა!

301
აქ სხვა სიტყვა შემოვიღო, ნუ გამკიცხავთ, მიგდეთ ყური:
კაცობასა მოვდგომოდი, გულში მქონდა არვის შური.
თუ ქორი ზედ აღარა ზის, კაცს რას არგებს მარტო თური,
ვერ დავსწყვიტე ცრემლთა მილი, თვალთა ჩემთა მონაწური.

302
რაც დავსწერე, მომიგონდეთ, გან თუ ვსთქვი საკვეხელად,
რად მოვიკლა ცუდათ თავი, ანუ სისხლი იქცეს ველად,
რაღას მარგებს, მოყვარულთა ღაწვი შექნან ცრემლით სველად,
რა ღალატით სიკვდილს ვესწრა. ვინ იქმნების ჩემად მცველად?

303
ნაბოთე მოკლეს უბრალოდ, ექმნეს სისხლისა მხვრეტადო,
იოსებ ძმათა გაყიდეს, თორმეტ ჰქმენ მეთერთმეტადო,
რაქაელ შვილსა სტიროდა, რომ ვეღარ არის მჭვრეტადო, დ
აგრევ დედა-ჩემს მოუვა ტირილი მეტის-მეტადო!

304
ყოვლთ ხემწიფეთა უდიდე, ვინ რომ არს კეისარადო,
მაკედონელის ტახტსა ზის, ციხენი აქვას სარადო;
მებრძოლნი იცით, ვერ გავლის ახლო ან იმის არადო,
თუ წყენა ვინმე გაბედა, იტყვიან დ იასარადო!

305
ჯაზაირ, ვლახი, ბუღდანი, დ  უჭირავს  დ  იამანია,
ურუმელი და მისრეთი, შავი და თეთრი ზღვანია,
ბასრა, ბღდადი, მადინა, მაქა, აზრუმ და ვანია,
ვერ ავნებს, რომე დაცოცხლდენ ამირან ძმობილ-ძმანია!

306
დასავლეთი და სამხრეთი არს სრულად იმის ხელადო;
ყაენიც, დიდი ხემწიფე, მაგრამ ეს უფრო ძველადო, დ
ინდთა საზღვრამდი ის იპყრობს, სად მზეა ამომსვლელადო,
მათი პატრონი, მეგონა, არსო ბაქაჯარ ქველადო!

307
სულთან მურად და შააბაზ ერთჟამად იყვნეს მჯდომია,
ორთავ ვიახელ, გარდამხდა მათთან ლხინი და ომია,
მაპატივებდეს, მაძლევდეს, რისაც რომ ვიყავ მდომია;
რიცხვს ვინ იქს, რაც რომ ომშია მე კაცი შემომკდომია?!
308
ესენი მისთვის ვახსენე, გასინჯოთ ჩემი თქმულები,
სიტყვის მალამა მიძებნოთ და გამიმთელოთ წყლულები;
კაცი ვინ იყოს, მიბძანეთ, ორისავ შესწავლულები,
ორთავ პატივმცეს უღირსად, მათ გამიერთეს გულებინ!

309
ორთავ ახლდეს დიდი კაცნი: კახები თუ ქართველები;
ვინ გამოჩნდეს ჩემად სწორად, სიტყვით დამდვან იმათ ლები,
რა შააბაზს მე ვიახელ, არ გამიყვის ნატალები,
რა მიზოძის, რა მიბძანის ტკბილის სიტყვის სათქმელები!

310
მათი დავსთმე სიტკბოება, შენთვის დავსდევ თავი სულა,
შვილი პირმშო საყვარელი, სიცოცხლე და ჩემი სულა:
ბედმან მიყო, რაღა გკადრო, აწ თქმის ჟამი გარდასულა.
სადაური სად მოჰკვდები, ეტლი ჩემი სად წასულა?

311
რა უკუღმა ჩარხი გადრკა, წაღმა აღარ დაბრუნდების,
რა დოვლათი კაცს მიადგა, აღარსაით გაბრუნდების!
მე რომ მესმის, თქვენი გული ჩემზე აღარ მობრუნდების,
გზა კაპნად მაქვს, ჩემი ფეხი დაღმა ვეღარ ჩაბრუნდებას.

312
უჩემობით მებრალები, ვამე, ქართლო, სუსტობისთვის:
გალავანი დაგექცევა, გადგებიან ზოგნი თვისთვის;
ეგზომ ჩემი ჭირნახული აწ დავაგდო როგორ სხვისთვის?
ოდეს მტერი წამოგატყდეს, მომიგონდეთ ამა თქმისთვის!

313
ბრძოლა, ომი, ჯაჭვი, ზუჩი, შუბი, ლახტი, ხმალი, მკვეთი,
მით მიყვარდა, ბევრჯელ შევჰქმენ მტერი შუა განაკვეთი,
ამხანაგს და მიღმა მბრძოლსა ბევრჯელ სადმე მე ვეკვეთი,
გავამდიდრე სულა ქართლი, უღონო ვჰქმენ განაკეთი,

314
სად მიუხდი, სად ვებრძოდი, რას მთებს ვიქმნი გარდასული,
გაცემა და ლხინთა ნახვა აწ რა იქმნა გარდასული;
არ მინდოდა წასახდენად ხორცსა კიდევ გარდა სული;
სისხლს დავღვრიდი, ანგელოზნი რომ მომრტყმოდა გარდასული;

415
თავს ვეტყოდი, ქართლისათვის მოკვდი, წინ გიც ა, წამება,
ვინ სჯულს რყვნიდენ, გვისუსტებდენ, მათთვის მშვილდი აწ ამება,
მათგან ბევრი დავასუსტე, ავხსნი ზოგი აწ ამება, დ
ბოლოს ნახეთ ჩემი ბედი, თუ რა მამხვდა აწ ამება?!

315
მე არ მაკლდა ორღანონი, ბობღანი და წინწილები;
ახლა მაბამს ეს სოფელი, უწინ დამდვა წინ წილები,
კაცობის და სახელისა კარგად მამხვდა წინ წილები,
აწ აეშვით, ჩემნო მტერნო, ვინ რომ ჩემგან წინ წილები!

317
რაც რომ მრუდი ვსთქვა სიტყვანი, გამკიცხეთ, ნურვინ მაქებსა.
მწადდა წამება, სისხლთა ღვრა, არ თაყვანება მაქებსა;
ბატონს რა ვჰკადრო, თვარ მტერთა ადრე მოუშლი მაქებსა!
გამოვსცდი მათსა ძალ-გულსა და თავსა კარგად საქებსა!

318
ვის რას ვაბრალებ, ეს ყველა ჩემი წერა და ბედია;
უღთოთ არავის არ ძალუც გასწყვიტოს სუსტი მკედია,
დავსცადო, კიდევ გამაგრდეს ჩემი ავჟანდის ღვედია, დ
პატრონზედ ხმალი არ გაჰკვეთს, ამით ვარ უიმედია;

319
როდეს გასჭირდეს, საქმისა კაცი ხამს გამაბედავად,
საქმეს მოახდენს კეთილად, თუ სულ არ არის ბედ ავად;
არც ნამეტნავად ის ვარგა, მირბოდეს დაუხედავად,
ლაღობით წახდეს ბოლო ჟამ, მტერს ვეღარ ექმნას მედავად.

320
კაცი რომ იყოს სიმაღლით გოლიათ, დიდად გორებით,
მრავალთ მებრძოლთა თავები მას ექმნას განაგორებით;
კიდევ მაშინც სჯობს 'საქმენი ჭკუით და მოსაგონებით,
თქმულა: მოცდა ხამს ჟამისა, არა თუ განაგორები!

321
თუ კაცი იტყვის გულშია: "მტერს რომ შევება ომებად,
ვაი თუ იმან მაჯობოს, მე ვიყო ცუდათ მშრომებად,
ის არის სპითა მრავლითა, მე ცოტა გვარ და ტომებად," დ
ვერ ვემოწმები, იცოდეთ, არ არის ომის მდომებად!

322
მას ვემოწმები, რომელიც იტყვის: "გავსწირო თავი
და  დღეს უომარი არ დავდგე, კარგი მოჰხდეს თუ ავი და;
ანუ მტერს ვსძლიო, შევმუსრო, ან ვიქმნე გასათავი

და  კარგს კაცს ვეძებდე საომრად, რომელმაც მთხოოს დავი და!

323
კაცობა გწადს, მზასა გქონდეს მიწყივ შენი საომარი,
რა ხმა გესმას რაზმთ წყობისა, მით არ იქმნა შესაზარი!
სიკვდილს ვერვინ ასცილდების, რომ არ ექმნას მოთქმა, ზარი,
ავს სიცოცხლეს სახელი სჯობს, გინდა ეპყრას რომ ხაზარი!

324
ზოგი კაცი დაღონდების, ვერ გაბედავს ვერას ვერა;
ვირმე მტერი არ წაახდენს. კაცთა რჩევას არას ჯერა.
რა რომ მტერი კარს მოგადგეს, ნუღარ გაქვს გულის მგერა,
მას კაცობა ხელთ შერჩების, ვის აქვს მტრისა მალ შემგერა!

225
გული ჩემი სევდით სავსე შეიჭირვებას გავს ებასა,
მთვარე ბადრად აღარ ზის, აღარც ელის გაგვსებასა,
დაშრტა სანთელთ სინათლენი, მიეწურა გავს ებასა,
ქართლის ბაღი მოიკრიფა, აღარ ვჰჭობ გავ, ებასა!

326
უჩემობა დააჩნდების. დაღი იქმნას აბაღება,
ცრემლმან ჩემმან ღაწვი ჩემი ჩამოღარა, აბა, ღება;
მძლავრს მტერზედა გაგიჩნდების, ვის გაქვს ხმლისა აბა ღება;
მარხვა მწადდა ვედრებითა, ლხინით მექნა ამაღება!

227
მე მეფეთა გაწყრომამან. ნეტარ ვით არ დამასულა,
ბედმა მიყო უკუღმართმა, მერმე ჩემა დამა სულა;
ეტლი წაღმა აღარ წადგა, დახვანჯულა, დამასულა;
ქართლს შენახვა როგორც უნდა, გაგიჩნდებისთ დამა სულა!

228
აქანამდი სად მკვიდრობდი, თაო, აწ სად ილალები,
გახსონს, თავზედ ჯიღა გქონდის, ალმასი და ი ლალები,
შენ და შენი ამხანაგნი, ზოგ-ზოგები ილალები,

დაიჩაგვრი დანასული, დაილევი, ილალები!

329
სულ ქართველთა კარგად იცით, ქვეყნისათვის რა მიქნია:
ოთხგნით მტერი შევაშინა, ზოგი ფეხით გამიქნია;
დუშმანთ გული გაუტეხე, ხლმის ქნევითა ამიქნია,
ვერ დაუდეგ მეფის წყრომას, რადგან თავი დამიქნია!

330
აქამდის მტერთა ვერ მჯობნეს, იგინი ჩემგან სულ ება;
ზოგთ გაქცეულთა მივსდევდი, ზოგთ ამოვართვი სულება,
მტერთ როდეს რიხით შევსძახე, მან მე ვერ მითხრის სულება,
პატრონსა ვსჭვრეტდი ერდგულად, მახედა მქონდის სულება!

331
გული არ მამლევს უთქმელად, თვარ მწადს დუმილი ბაგისა,
მუდამ სახმილი მედების, ალი მეხვევის დაგისა,
მას უხარიან, რომელმაც ჩემი დაკარგვა აგისა,
წავალ, მივმართო სადგურად, სად თემი ათაბაგისა!

332
მას უნდა დიდად გარდაჰხდეს, ვინც ჩემი თავი წაგვარა,
არ მოაგონეს გარჯანი, მე მემსახურა რა გვარა,
ვეჭობ, დავაკლდე ბოლოჟამ, ვინ მე ჯარიდამ გამგვარა,
რადგან მათ დამთმეს , მოყვასნო, თქვენ ჩემი ნურა გაგვა რა!

333
მშვიდობით, თვისნო, მოყვრებო, გამოგესალმო სალამით,
მეგობარნო და შემცნენო, ცრემლი დავსთხიოთ სალამით,
თქვენ ნუ დაიჩნევთ გაყრასა, გული შემქნია სალა მით,
ვინ გაირჯების სიმხნითა, მან შეიდაროს სალა მით.

334
ყველას რამ გარგე, თქვენც იცით, ვირ ვიყავ თქვენი მჭვრეტია,
კარგკაცობს და ნამუსი, ვისაც გიქნიათ მეტია,

იგი შემოგზღავს, ვინ მოსეს უძღვანა ნათლის სვეტია,
გული მწვე ღონობს გაყრასა და თვალნი განარეტია!

335
თქვენსა ვერ ვიტყვი, მოყვასნო, ძვირსა და ძრახვას ამ ენით,
რადგან მე დავრჩი შორ გვარად, თქვენ ხემწიფესა ამენით,
თუ ჩემთვის კარგი ვინმე თქვას, თქვენცა იყვენით ამენით,
ლხინსა ნახევდით, ღვინოსა, თქვენ მიიღებდით ამენით.

336
გაგიჩნდებისთ ქვეყანისა გაწყობა და გარიგება,
თქვენცა იცით, ჩემის გარჯის ანგარიში არ იგება,
რაცა დამრჩა უშენონი, ჩემგან ახლა არ იგება,
თუ კაცი კაცს აღარა სჭვრეტს, მტრისგან იში არ იგება!

337
რად, სოფელო, სამუდამოთ ჩემზედა იქ ას ავსავით?
არ დააცხრო ცთომის გველმან, კიდევ ენა ასავსავით,
ჭირნი ჭირსა დამისართა კვლავ ამიწყო, ასავსა ვით.
დამიშრიტა ბრწყინვალება და ნათელი ა სავსავით!

338
დამემოწმე, თუ მართლა ვჰთქვა, თქვენცა ბძანე, დ ეგ არია, შინ
რომ კაცი გამოარჩევს, არ მოჰხდების ე გარია,
რადგან უკვდად არვის გინდი, დაუტეო ეგ არია!
ვარდი დაჭკნეს, ჩამოცვივდეს, რაც დაგრჩების დ ეგ არია!

339
ერთს ალაგს რომ ერთი კაცი გამოვიღეს ჭირთა მხდელი, რა
გაგვათ, რომ მტერს შეაკლათ, ან ჰყოთ მისი სულთა მხდელი?
ინაპიროს, გარ გიაროს, ველთა იყოს ჩამომხდელი, თავს ეხუროს
მუზარადი, ძვირად იყოს პირ-ამხდელი.

440
უმტრო კაცი არ იქნების, რომ არ ჰყვანდეს არა სითმე"

მემუქარეს ხამფოლადად მიპყრა ხამს და არა სითმე,
ჯაბანს კაცსა გულოვანი გაჰხდის, გვანდეს არა სითმე!
გულსა სევდით შეპყრობილსა აწ დამიჭრის დანა სითმე!

341
არ მომიგონებთ, რას იტყვით, როს მუზარადი ელევდეს,
რაზმი გასწორდეს დროშებით, ორგნითვე ჯარი ღელევდეს,
ცემა და საყვირთ ხმა იყოს, ცხენნი კაცთ ფეხით ქელევდეს,
მაშინ რას აქნევთ გიორგის, თუ მისებრ მოგეშველევდეს?

342
ჩემს ჭირნახულსა ქართლზედა მიკვირს, ვერავინ ხედავსა,
რაც საქმე შევსმელ ქვეყნისთვის, თქვით, თუ ვის გაუბედავსა?
ქართველნი დავხსენ მოსპოლვას, მით მიზმენ ზედიზედ ავსა,
რაგინდ რომ თავი ვაწამო, მეტყვიან კიდევ ბედ ავსა!

343
გული მქონდა მტერთ უშიში, გეგონა თუ მიდგა ისო,
სამსალასა, საწდეველსა, პირი ჩემი მიდ გაისო,
გულმან ხელმან, სევდიანმან, აწ ლახვარი მიდგა ისო,
თქვენ უჩემოდ რასაც შესძლებთ, მეცა ვნახავ მიდ გაისო!

344
ლხინი, ზმა, სიტყვის გაგონა, მქონდა მუდამად პურობა,
ამხანაგთ კარგ მეგობრობა, მიცემა, დაუშურობა;
კარგ კაცთა წყობა, ალერსი, მდიდართა მე უშურობა,
ვეჭვ, ზოგს თავადსაც მოსწადდეს ჩემებრივ აზნაურობა!

345
რა ცისკრის ლოცვა გარდასწყდის, ვნახი მფრინველი ცხენია,
შევჯდი, მფრინვლით და ძაღლითა შევექცი, ვირ სიცხენია;
მოვიდი, წირვა ვისმინი, ან ლოცვით ცრემლთა მრცხენია,
დავჯდი და ლხინსა ვემოყვსი, არ მქონდა სიმარცხენია!

345

როს მოვიცალი მტერთაგან, მიყვარდა ნადირობანი.
ვის სამართალს ქვეშ დაუჯდი, მჭირს უთვალღებო ბჭობანი,
ადრე ვიცოდი შეტყობა, კარგის კაცისა ცნობანი;
დაბალს კაცს ბევრი შევმატი, არ უყვი დიაღ მცრობანი;

347
ვის რომ რამ კარგი შევატყვი, კაცობის ჰქონდის ხალისი,
ცხენ-იარაღით შევამკვი" ძველი ქნის მან ახალ ისი,
დღეს ერთი გამოვაჩინი, მოვჰკაზმი, მერმე ხვალ ისი,
კაცობის სწავლას ევლტოდეს, ვით ოქრო დავახალისი!

348
ვისაც სიჯაბნე შევატყვი, მასცა შევმატი გულია,
მემკვიდრე მკვიდრზედ მოვიდეს, ვინ იყვნეს დაკარგულია,
სიხარულისა დღე გვქონდის, ვით წყლისპირს ალვა რგულია,
ამ დღეებისა შემსწრობი სევდით ვარ დადაგულია!

349
ჩემს სახლში იყვის მუდამად: წირვა, ლოცვა და გალობა, უღონოთ
ღონე, იმედი, გლახაკთ მიცემა, წყალობა,
ყმის სამსახური სამართლით, არავის სჭირდა ძალობა,
აწყა დამიგზო სახმილი, სოფელმან შექნა ალობა!

350
სტუმართა სუფრა წინ ედგის, მის მის დროს აუღებელი,
ვინ დამეთხოვის, წავიდის, არ დარჩის წაუღებელი,
მომღერალთ ლხინი, თამაში იყვის სულ დაუღებელი, დ
აწ რასთვის ვჰკვდები, ამისი მე ვარ კვალ-გაუღებელი!

351
ქართლში უფროსნი ვინც იყვნეს, ითქმევდეს თავადობასა,
ყველა მოყვრად მყვეს, ბძანებდეს ჩემს მეგობრობა-ცნობასა,
მეცა მივდევდი, მომდევდეს, ვიქმოდით კარგსა ძმობასა,
ბედსა ვემდურვი და მერმე, ვა, ჩემის დისა შობასა!

352
ყველამ იცით, რომე ქართლი ჩემის ხმლითა დახსნილია,
თვარ შეიტობთ ამას უკან, მტერი ისევ ახსნილია,
ჩემის ხლმლისა ნაშოვრისას გუდის პირი წახსნილია,
ქვეყნის გზას ხომ ვერ შემიკრავთ, ჩემთვის მაშინც გახსნილია!

353

ერთი სიტყვა მამაგონდა, დ  არ ვსთქვამ ამას საკვეხელად;
სად რომ საქმე გაგვიჭირდის, ამხანაგთა ვიყვი მშველად;
მე იმათ თან ვერ მივდევ, რომ მასმია კაცნი ძველად,
ერთის კაცის მემუქარის თავს სისხლის ვარ გარდამსხმელად!

354
ბაზალეთის ომსა შიგან მე მამეპყრა ედიშ ავით,
ამაყობდა იგ თამამად, შემომძახა; "მოდი, შავით!ნ
მას გაუპე თავი შუა, გინებით არს დამნაშავით,
მის ცოლს უთხრას დედამთილმან: "აწ მიბძანდი, შედი შავით!ნ

355
სხვაგან წერა დამწერელმან ხვანთქართანა წასვლა მისი,
სოხტაების ამოწყვეტა, სისხლთა დენა, ყათლა ვისი,
ბევრი ბრძოლა, ციხის რთმევა, ნებად, არა წართმევისი,
ან მოყვრების გამოჩენა, შესწავლილი ზოგან თვისი;
356
ხვანთქრისაგან როგორ ცნობა, ანუ დიდად პატივცემა,
მტერთ გავლენის დამადლება, წყალობა და კვლავ მიცემა,
მის დუშმანთა ამოწყვეტა, მისხის მისხად, რა მიცემა,
იტყოდა თუ: "სად მოჰკვდები, ლახვრისა მაქვს სად მიცემა?ნ

357
ვით გაუძლებ კაეშანსა, გულო, ლახვრის აბა სმითა,
ყოფა ჩემი ჩრდილად იქცა, იგ შეიქნა აბასმითა,
გახსოვნს, ოდეს ნოსტეს იყავ, ცაცხვს ქვეშ იჯდი აბა სმითა!
უხვად გასცი საბოძვარი, წაიღებდენ აბაზს მითა!

358
ვინ იცის, თუ სოფლისაგან რა ლახვარი დამეშენა:
მიჯობდა, თუ სულისათვის გლახ სამყოფი დამეშენა,
ვინ მიმადლის ქვეყნისათვის, თუ რა მტერნი დამეშენა,
ვინ რომ ჩემთან ვერ შეიბა, ნურას მეტყვი და მე შენა!

359
თუ რამდენნი ჭირი შევსძლო, სოფლის მახე ამედგა რით,
სახლ-სამყოფნი სავანენი ჩემნი იყვნეს ამედგა რით.
ლხინში, გულო, მეფეთ მონე და მსახურე, ამედგარით,
კიდევ ხმალი მოიგონე, უშიშ, გულ-სრულე ა მედგარითი!

360
ოდეს ლხინსა დავემოყვსი, აწ ეს სევდა მას არევდა,
ჭმუნვა მრჯის და სევდა მაწვევს, მუშაკობს და მასარევდა,
ბოროტი და ავი ენა წყალს მღვრევს წმინდას, მას არევდა,
რაც სოფელმან ეტლად მამცა, ჩემთვის კიდევ მას არევდა!

361
უბრალოდ ჭირსა არ მიმცეს, მე ეტლსა ამას ველია,
თვალთა ნაკადი მომადლოს, ღაწვნა მით ამასველია,
მკლავნი რომ ცუდათ არ დაშვრეს, ფეხს ჰქონდეს ამასველია,
მართალი ვიყო, ნუ დამსჯის, მუხლს არ ხვდეს, ამას ველია!

362
ჩემთა სასჯელთა აღრიცხვა ენას ვით ძალუც აგება,
ცუდათ შვრებიან მშენენი, ხელოვანთ ვისრ აქვს აგება,
მარტო რას ვმდურობ. სოფლისგან, ვეჭვ სხვანიც ვინმე აგებ,
რამდენს კაცს მახვდა, ვერ ვრიცხავ, ჩემის შუბისა აგება?

363
მიცნობთ, ბძანეთ, თუ ვიყავ ერთის კაცისა დარული?
ლხინი და შვება უღრუბლო მქონდა, მის შუქი დარული,
განსვენება და სიამე, სმა, ჭამა, ძილი და რული,

აწ ცრემლთა რად მდის ნაკადი, ღვარნი არ გასწყდა დარული

364
ბრწყინვალება და ნათელი, თვალნო, სევდითა დაგევსა;
შენთვის სახმილი აღტყინდა, გულსა სამუდმოდ დაგევსა;
სიტკბო გამწარდა სოფლისა, სამსალა სასმლად დაგევსა,
გულო, ვით გასძლებ სევდასა, ან ჭირსა ნიადაგევსა?!

365
თავსა ვეტყოდი, სამუდმოდ ვის გვერც ახლავხარ, მას ამე!
ერთი არ მამეც, სოფელო, ჭირნი, მიორე, მასამე,
სევდა მიმატე წყენისა, აღარ მალხინე, მას ამე,
ვერსით გაგისწარ, დამაბი, გარ შემომხვიე მასა მე!

366
ხანდახან მამცა სოფელმან, საწუთრო იქმნა დარადა,
დზოგჯერ მიმუხთლა, მიხვია, იქით და აქათ დარადა,
ზოგნი მე მჯობდეს, ზოგნი იტყოდეს: მვექმნათ დარადა,ნ
ბედსა ვეტყოდი: მსოფელმან ნეტარ შენ მოგცა და რადა?!

367
ეტლმა მამცა ბედკრულობა, ნეტარ ყურსა ესმა ვისა,
ლხინი დამრჩეს განშორებით, აწ უყურებ ესმას ვისა? დ
არა მქონდა გარიდება მე ლახვრისა, ესმას ვისა,
რამინისებრ შევიბრალდე, ჭირნი ჩემნი ესმას ვისა!

368
თუ გსმენოდესთ, მე ლახვარი თუ რამდენი დამეცა რა!
ბედი წაღმა წაგრეხილი აწ უკუღმა დამეცარა.
ვა, სოფელო, უხანოო, დრონი აღარ დამეც, არა,
ჩემთვის იქმენ გამომცდელი, ვით ბელიარ დამეცა რა!

369
ამდენს ხანს ხომ ველარ გავსძლებ, რაც ჯანი მაქვს განასული,
არ დავზოგე ქართლისათვის ძმა, ძენი და გან ასული,

თავი დავდევ საწამებლად, ხორცი საკვდად, გან სული?
თუ უბრალოდ სისხლს დამიღვრით, ვიქმნა ზეცად გან ასული!

370
თუ ამ სასჯლებს მოველოდი, მიმძიმს ჩემი დაბადება,
გლახ უბრალოდ განსაცდელი, სოფლისაგან ცეცხლთა დება,
რაები ვჰქენ ქვეყნისათვის, საკვდად თავის გარდადება;
თავი არვის მოვაკვლიო, არც ვჰქნა ხმლისა ჯერ დადება;

371
მეფეთ წინა სამსახური მე მინდოდის ყოვლთვის დიდად,
ამხანაგთა ვსათნოობდი, ვიყვი კრძალვით, მომარიდად;
მიღმა წყენა არვის ვჰკადრი, ვმთავდაბლობდი მყუდროდ, მშვიდად,
მე ეს მიყო ამ სოფელმან, თქვენცა გექმნას ბარგის მზიდად!

372
ჩემნი ჭირნი სხვათა საქმეს, არ ვჰჭვ, ვისმეს გან არევდეს,
სად დავჰთესე კარკაცობა, ახლა ისიც განარევდეს,
ვიცი, რომე სხვათა ძალი დღეს ჩემს მკლავსა განა რევდეს,
გახსოვნსთ, ოდეს ჩემნი ხმანი, თუ ჯარს როგორ განარევდეს?

373
წახდა ჩემი კარკაცობა, დარსწავლა არვინ არა,
როგორ დავგმო ამასწინათ მეფეთათვის ვინც მამკვდარა,
მოწმად მყვანან ბევრი სული, ჩემს თავს თუ რა გარდამხდარა,
წაღმა სხენან ჟამნი დღეთა, მზე ჯერ სრულად არ დამხდარა!

374
ვერსით მოვრჩები სიკვდილსა, დღეს მოვა, ხვალე ისევ და;
უბრალოდ უნდა გარდაჰვხდე, ამით მაწუხებს ი სევდა,
თაო, ღალატად ვინ მოგკლავს, ცუდს კაცებს რასთვის ისევდა!
მან წამახდინა თავიდგან, აწ მომაგონდა ისევ და!

375

სოფელს სჭირს პირველ სიამე, საწუთროს პყრობა, შვებანი,
რასაც ინებებ, განებებს, იტყვი თუ: "მიყო ნებანი",
მაგრა არა ქნეს მიყოლა, ვის ჰქონდა ჭკვა და ცნებანი!
მივჰყევ სოფელს და სახელსა, კარგთ კაცთა მქონდა ხლებანი.

376
ხედავთ კაცთა დაბადებულს, არვისა აქვს ერთი სახე,
მე სოფელმან ოთხის კუთხით დამაბა და მიდგა მახე,
არ გავიდა სამსახური, რაგინდ ბევრი ჭირი ვნახე,
ცუდად წახდა გარჯილობა, ბედი ამად გავიჩმახე!

377
მეც შემეძლო ამხანაგთა მაზეზღართა მტერობანი,
მაგრამ დავსთმი, ყველას უყვი მიცემა და ფერობანი,
ამისთვის ვჰქენ, მე მინდოდა აოხრებულთ შენობანი,
მაგრა ყველამ მოიჭირვა ჩემი გაჭრა, ხელობანი!

378
ერდგულობა დ მე მგონია პატრონზედა სამსახური,
რომ ინდომო ამხანაგი, არა გქონდეს კარგთ კაცთ შური,
არ დაჰკარგო მეგობარი, არ ჰყო მეფის მოსამდური,
ჩემი იცით, ყველას გახსონსთ, რას ოფლთა ვარ მონაწურის!

379
თუ გინდოდეს თავი შენი, შენც ინდომე ამხანაგი,
ცეცხლი მისთვის მოდებული აგრევ იყოს შენთვის დაგი,
ამოსწოდო მისთვის ხმალი, არ თუ ქარქაშს ადრე აგი,
თუ გაიჭრას სამყოფთაგან, თავი მისთვის გარდააგი!

380
რაც თვისთვის სწადდეს, მოყვსისთვის კვლავე მას აჯობინევდეს,
ცრემლთანა ცრემლი დაღვაროს, მოხარულთანა ლხინევდეს,
სწყუროდეს, მანცა იწყუროს, თუ დათვრეს დ ისიც ღვინევდეს,
ჭირთანა ჭირნი იტვრთოს, სევდასთან მოიწყინევდეს!

381
კაცმა კაცს გული მიანდოს ერთპირად დასანდობელად,
მას მისთვის ცრემლი სდიოდეს უწყვეტლად, გაუშრობელად,
მისთვის ხმალს ხელი ანებოს მტერზედა დასაშრობელად,
თავი გასწიროს საკვდავად, სანთლურებ დასადნობელად!

382
მე ქვეყნისათვის რამდენჯერ ვჰქენ თავის გაწირვანია,
მოწამედ მყვანან მრავალნი, არა თუ შვიდი, რვანია,
არა მაქვს ჟამი სიტყვისა, საჩივრის ცუდი თქმანია,
მაგრა მართლისა სიტყვის თქმა ჩემგან რა უკუთქმანია?

383
ბატონს ჰყვანდეს ერდგული ყმა, სიამოვნით თავს უდებდეს,
მტერს ებრძოდეს, დავსებულსა ცეცხლსა კიდევ აუნთებდეს,
რაც უჯობდეს იმას ბჭობდეს, მებრძოლს მიღმა გაუგდებდეს,
საჭურჭლესა წარმოცლილსა სალაროსა დაუდებდეს!

384
რაცა სწადდეს, ის აამოს, დაერიდოს საწყინარსა,
ძმას და შვილსა თვით ხედვიდეს, მასთვის სთმობდეს ორსავ
მკვდარსა,
მებრძოლს მიღმა მიეგებოს, იგ ჰხმარობდეს ხმალს და ფარსა,
დაფანტულსა წინ უძღოდეს, უგროებდეს კარგსა ჯარსა;

385
პატრონის წყენა წყენად სჩნდეს, ლხინისთვის გაიხარევდეს;
სახელსა გამოაჩენდეს, უკადრის საქმეს ჰფარევდეს,
საკვდავად თავი გარდადვას, როდეს რაზმშიგან გარევდეს,
რაგინდ სხვა რამ თქვან, მაშინცა მისსა ქებასა წარევდეს!

386
ცოტა მიცემა დიდად სჩნდეს, მწვედ იყოს მადრიელადო,
თუ საწყენი რამ შეატყოს, თვალნი ქნას ცრემლით სველადო,
გასჭირდეს დ ადრე ინაღვლოს, მსწრაფლ იქმნას მისაშველადო, დ
ასრე მასმია პატრონის მე სამსახური ძველადო!

387
არ დაიშურო რაც გქონდეს, შენ იყო მის მიმრთმეველი,
ცოტაც გიზოძოს  დ  ხარობდი, მით იყავ გამომრთმეველი,
უსამართლოთ და ურიგოთ არვისი არ წამრთმეველი,
საწყენის წყენის რიდება, არრა ჰქნა უმართეველი!

386
პატრონყმობა განა ჩვენგან, იცით, ზეცით დასახულა,
სოლომონ და დავით  დ  ორნივ თვალით მეფედ კვლავ ნახულა,
როგორც ყმისა სამსახური, ყმა პატრონთგან შენახულა,
უბრალოს ყმის წახდენანი პატრონზედაც მწვე ძრახულა!

389
ეს ყველა მჭირდა, ისმინეთ, მეფეთა ერდგულობანი,
დიდად შევმატი, ვარგებდი, ვისიც რომ მქონდა ყმობანი,
ადრე მივმართი ბძანებას, სადაც მიყვიან ხმობანი,
ან მეფე ცუდათ გამიწყრა, ან მე აღარ მაქვს ცნობანი!

390
სად წავიდე, სად დავლახო აწ ქვეყნისა კიდით კიდე,
დედა-წულნი, საუნჯენი წავიღო და რას ავჰკიდე, დ
მეფის მტერსა მე რამდენჯერ გულ-მესისხლედ წავეკიდე, დ
ვადა რყეულს ხმალს ნუ აგდებ, თაო, ხელი კიდევ ჰკიდე!

391
რადგან წახდა გარჯილობა, რადღა მმართებს თავის ტკენა,
რად ვიუბნა ძველი საქმე, ვით დავაშრო თქმადღა ენა,
აღარ მმართებს საჩივარი, ანუ ცუდად ცრემლთა დენა,
ვით მიქნია ერდგულობით მტერთა სისხლის გარდადენა!

392
რომ წამიხდა სამსახური, ცრემლი თვალთა მისთვის მდინდა,
ან სოფელმან ჩემი კერძი შუქი რასთვის დააბინდა,

გახსონსთ, უწინ მტერნი თქვენნი ჩემს ხმალს როგორ შეუშინდა?
გაყრა მიმძიმს, თვარემ დავრჩე, მე რომ ვიყო, სადაგინდა!

393
არა მშურდა სასიკვდილოდ მე გარდმედვა თქვენთვის თავი,
აწ რად იქმენ ხემწიფეო, დღეთა ჩემთა გასათავი?
რა გერგების, ეს არ ვიცი, მომიშალოთ რომ სათავი?
ეტლმან ჩემმან მე მამგვარა ზედკრულობა ასათავი!

394
რომ მასმია ასრე თქმულა პატრონისა კვლავ სიამე,
რაც უბძანოს  დ აღასრულოს, არ იკვნესოს, არც თქვას, მვამე"!
მოეხსენოს: "ხემწიფეო, შენთვის დღენი გავიწამე,
რაც მიბძანო სამსახური, წავაკვდე და წავე წამე!ნ

395
გვმართებს, რომე მეფეთათვის სიმხნითა ვჰქნათ ავერთხის რგვანი,
სად გვიბძანოს, მივესივნეთ, სიგრძის გზა ვვლოთ, ანუ განი,
თავს საზღვარი ეს დაუდვა, ვერვინ იყოს ჩემი მგვანი,
არ ავმაღლდეთ თავმდაბალნი, სიტყვა არ ვთქვათ შეუგვანი!

396
რაც გვიბრძანოს, თავს შევიღვათ, ადრე გვმართებს დაჯერება,
მას ვმონებდეთ, არ გარდვიგდოთ პირიდამე მისი.ქება,
წაუწყმედლად ყოვლის გზითა გავათაოთ პატრონთ ნება,
მეფის მტერთ რომ მე დავმართე, ნეტამც თქვენგანც ისრე ება!

397
სოფლის ჩარხთ ბრუნვა, ეტლთ ქცევა ხანდახან მოვა, ხან არა,
ხან ხელი ვარდით ავავსი სოფელმან, ზოგჯერ ხან არა,
დაყმუნდა, აღარ მომართა, ჩემზე განაგრძო, ხანა რა,
მტერმან იშები მამიგეს გულისა მოსაფხანარა!

398
ახლა მარყევს ეს სოფელი, უწინ მამცა, მაშინება,

ჯამან მტერმან ვერსად მიყო, იცით, გსმია მა შინება!
მეფის, ქვეყნის უნებელნი ავხსნი, ზოგი მაშინ ება,
სჭვრეტდეს თვალნი უდუხჭიროდ, კამკამებით მაშინ ება!

399
მიმძიმს ამხანაგთ მოშორვა, გულსა მაქვს მუდამ ზრუნვანი,
შეჭირვება და ოხრანი, მწუხარება და ურვანი;
სამკვიდროს გაცლა ძნელია, ვინც დადგეს შესაშურვანი,
თუ რამდენრიგად მამიხდა სისხლის ცრემლისა წურვანი!

400
ვინ რომ ფეხსქვეშ მელახოდეს, აწ მათ მე მქნეს დაცემული;
მაბეზღარნი უწინ მე მყვეს დატუქსული, დაცემული,
ზოგნი იყვნეს განაკეთნი, ზოგნი ზევრის მიცემული, დ
შენვე მიგაქვს, ეტლო ჩემო, რაც შენგნით მაქვს მოცემული!

401
სად მეგონა დამკვიდრება, აწ სადით ვარ განაჭერით,
მეფეს ტკბილად ვეღარ ვნახავ, თვარ არ ვრიდობ განა ჭერით,
ვის მომწევენ, შეიქმნების გაკვეთილ და განაჭერით,
ბედო, კრულო, უკულმართო, თავი ჩემი განაჭე რით?

402
ზოგს კაცს რომე გაუჭირდეს, უსუსურად დაღონდების,
ვინც რას ეტყვის, _ არას ჯერა, კარგს რჩევასა გარდაჰხდების;
ვირემ კაცი ცოცხალიყოს, ადვილ მტრისგან ნუ წახდების!
ბედი, სვე და გამარჯვება იქნას, კაცზე რაც მოჰხდების!

403
გაჭირების დროს კაცს უნდა, რომ შერჩეს ჭკვა და გონება,
ვისაც რომ ახლდეს უტყუვრად სიამე, ტკბილად მონება,
რომ მოშლით იყოს, ცუდია, რას არგებს მწვე დაღონება?
აღარ დაზოგოს მის დროსა სალარო, ანუ ქონება!
404
კაცი "ააგედავს საქმესა, თუ კარგს კაცთან აქვს ზრდილობა,
შეც მქონდა დარბაზს წინ დგომა და ამხანაგთა წილობა,

მე არა მჭირდა ტყუილი, არც ცუდი სიტყვის ცილობა;
აწყა სოფელმან ნაკადი და მამცა ცრემლთა მილობა|

405

ზოგჯერ მეც მითქვამს თავისა, თუ რასთვის დავიბადეო,
ანუ მტერები გარშემო ვიხვივე, რად ვიბადეო,
მაშ ხომე ცუდათ გაქრების, მაქვს რამე ან ვიბადეო,
გულმკრთალნი მტერნი, ჯაბანნი რასათვის აიბადეო?

405

ყველამ გასინჯეთ, შეტყობით, თქვენ ჩემნი სამართლობანი,
როგორ ვჰქენ თავის დადება, მეფის ტახტისა მკობანი,
აწ ვისღა უთხრა ლიქნითა, ფერობით სიტყვის ლმობანი,
ზოგნი შევფრფინავთ სოფელსა, ზოგთა დავსწყივეთ შობანი

407

რომე კაცმა ბევრი რამ თქვას, ხოტბა გრძელი, სიტყვის თხრობა,
თვისტომს თავსა მოაძაგებს, მას მიხვდების ცუდი შრობა,
არც ის ვარგა, არვინა თქვას კარგის კაცის გარჯილობა,
გოდოლშიგან დაფარულსა, დაგულვას სჯობს გახსნილობა!

408

ვჰთქვა არა ერთი საქმე, ორსავ ვღონობ დიაღ ძნელად,
პატრო ის ხამს გამარჯვება, პირველვე ვჰთქვი სიტყვა ძველად;
ბევრი კაცი მოვიხმარე მწედ, იმედად, ჩემად მშველად,
მაგრა მევე დამიმარცხდა, მით შევიქმენ ცრემლით სველად!

409

ლაშქრად მამყვეს იმერელნი, მამეხმარნეს ზოგნი სამცხით,
ზოგს ქართველთაც გვერც ვიახელ, კაის ჯარის აღსარაცხით,
მაგრა ეტლმან არ გვიბედა, მით ვიქმენით იმ დღეს მარცხით,
გამარჯვება მეფეს მიხვდა, ზოგი ჩვენც ვჰქნით მიწას ნარცხით!

410

შეწეულთა ლშქართ მიყვეს, ვერ უჭერდი იმა თავსა,

სტუმართა და თვით მოსრულთა, რას ვეტყოდი იმათ ავსა,
დგომასა და გაძლებასა მე ვჰკადრებდი თუ მეთავსა,
ზოგმა მეც მწვე დამიმარცხა, მათი სახლი ავა თავსა!

411
ეგრე მითხრეს, ,ან შეგვაბი, ან გაგვიშვი ჩვენსა, შინა!"
მე მათ დაბლა მოველოდი, მას ვზრახეიდი გულსა შინა;
ჰადრე: "ომსა გაპოვნინებ, თქვენთან არც მე შემეშინა,"
შუბი გატყდა, ედიშასა, იცით, ხმალი ვით ეშინა?

412
ბაზალეთის ომი მოჰხდა, მეფეს მიხვდა გამარჯვება,
იმათ დიდი გახარება, ჩვენ ჭმუნვა და ბევრი ვება;
ბატონიშვილს გვერც ვიახელ, ერისთვისაც მქონდა ხლება,
უღონობას ღონევე ჯობს, ცდა საქმისა ბევრ შეძლება!

413
რაცა მოჰხდა სრულ ვიცოდი, არ მინდოდა ესე ომი,
ყმა არ უნდა პატრონისა ბრძოლისა და შებმის მდომი!
თავს მოღალავს, ან მოკვდების, ცუდათ არის მკლავის მშრომი;
ქეეითი ხომ მუხლს დაღალავს, ვერც იჭნების ცხენსე მჯდომი!

414
სამცხეს წაველ, წამოვიდნენ ესე კარგნი დიდებულნი,
ყველაკასა მრავლად მივეც, რაცა მქონდა მუნ დებულნი,
საქონელნი, ბარგნი ჩემნი, არ დავჰკარგენ კიდებულნი,
გაეხარდათ მაზეზღართა, ვინც მყვეს გარდაკიდებულნი!

415
ცოლშვილი სამცხეს დავაგდე, მოყვრები მიიბარევდეს,
ბტონიშვილსა მე ვახლდი, იესე ჩემი მარევდეს,
ხვანთქრის კარზედან წავედით, გზად ჩვენთვის დარნი დარევდეს,
ყაზახ მეკობრე, ჯალალი, ჩვენს ვერას მოიპარევდეს!

416

ადოევ ვაცნობაო ვეზირსა ხელმწიფის ტახტს წინ რებანი,
ყაფუჩიბაში ებოძა, მით ექო ჩვენნი ცნებანი,
გვითხრა ხემწიფემ: ,იცოდეთ, თქვენ გიყოს გულის ნებანია;ნ
მე უთხარ: "მის ხმალს მოვენდევ, მით ვჰქენ შორის გზით რებანი!!

417
ჩვენ მიგვიყვანეს, ებძანათ: "მოჰფინეთ კარგა სახლებიი;ნ
ასრე გვსმენია, ეგენი არიან კარგნი სახლები!
ჩვენთან მოვიდეს ფაშები, აქვსთ ფართოდ ტყავის სახლები,
ძველით ვერავის ვნახევდით, ტანს ეცვა ყველას ახლები!

418
ულუფა მრავლად გვიბოძეს, სიუხვე ჰქონდა ზღვებისა,
ურჩისგან ხმლით და ძალითა, მას არა არ ეზღვებისა,
არვის არ ძალუც ძალითა გარდავლა იმის მზღვრებისა,
მასწინ არ ძალუც მთქმელებსა, ამხანაგთ დაბეზღებისა.

419
მეორეს დღესა მიგვასხეს, შეგვავლეს კარნი სრისანი,
გავჰკვირდით მორთულობასა, დ ნეტარ ქნილია რისანი?
ხემწიფეს მუხლსა ვაკოცე, სიტყვა მიბძანა თქმისანი, დ
ვჰკადრე: "თქვენს ხმალსა მოვენდევ, ყმობა ვერა ვჰქენ სხვისანია!

420
მიბძანა: "ჩემი წყალობა შენზედა უშურველია,
სამცხეს რაც ციხე აიღე, მთქმია, არც ხანი ძველია,
რაცა გწადს, იმას დაგმართებ, მე ვით ვარ შენი მშველია,
მოგცე ციხე და ქალაქნი, ქვეყანა აზრუმელია!ნ

421
რაც ხანი დავჰყავ, შამაპყრა პატივი დიდ საფერია,
ცხენსა შებძანდის, გვიბძანის, შევსხდით, ჩვენც ვნახით ერია;
მიბრძანის: "ნუ შეგწყინდებათ, აქ არვინა გყავსთ მტერია,ნ
ვკადრი: "რომ გიჭვრეტთ, ის გვალხენს, ვართ თქვენი ფეხთა მტვერია!

422
ენგიჩარ აღას უბრძანა, აჩვენე თოფხანიანი! დ
წაგვიძღვა, ყველა დაგვავლო, რა უცხო, რა ხანანია!
გვითხრა: "ხემწიფე გაგიშვებს, გამოვა რა ხანანია",
აწ ვისღა ახსონს, რა ვნახეთ, ბეგლარბეგ, რა ხანანია?

423
თიქმატაშ, აისოფიო, გვიჩვენა ზღვისა ზღუდები,
ზღვის პირს ალაგი არსად ჩნდა ზარბაზნებისგან უდები,
მათ კაცთ ყაუხი ეხურა ბერძენთა, ჩვენებრ ქუდები,
მისსა მებრძოლსა შიშითა, როგორ არ ჰქონდეს რიდები?

424
ბევრი რამ უცხო გვაჩვენეს, დ  ლომ-ვეფხთა სადგურიაო,
გასინჯეთ, ვისცა გენახოს, სად. ისი, სად გურიაო? "
სრულ მარმარილოთ ნაშენი, არსად ჩნდის აგურიაო,
ზოგს კარგს სახლებსა მივადგით, გვეტყოდეს აგურიაო!

425
პატრიაქთანა მივიდით, ვისმენდით წირვა-ლოცვასა,
ერი მოვიდის ურიცხვი, ალაგს ჰყოფდიან მოცვასა;
იქ ღირსნი კაცნი დაგვხვდიან, იქმოდენ ცრემლთა ხოცასა,
მიტრაპოლიტნი გვერც უდგნენ, ხან უფრო, ხან ვჰთქვამ ხოცასა

426
ხანი დავჰყავით ზამთრისა, ზაფხული იქცა ჟამებად,
ხემწიფემ ბძანა: "თქვენ თავი არა გშურსთ ჩემთვის წამებად,
ერთი ქვეყანა სოხტათა აქვს, არ არიან ამებად,
მაზედ გაგისევ, შარბათი თქვენ შეუქმენით შხამებად!

427
კარგად უნდა მოაგვაროთ, ნურც ადვილ გჩანსთ მათი ბრძოლა:
ქვეყანა აქეთ მწვე მაგარი და მეომართ კარგთა ყოლა;
მწვე ფთხილობენ ღამე თევით, სრულ არა აქვთ მუდმად წოლა,
გუშაგები იძახიან, როგორც მწუხრს და ცისკარს მოლა!

426
თემს თქვენ მოგცემ ოჯახობით, გარეშემოც თქვენი იყოს,
მათი განძი, საქონელი, არა მშურს რა ვინც გაიყოს;
ჩემი ყმა რომ გამიმაგრდეს, ნეტარ რა ვჰქნა, ეს რა იყოს?"
აწ გიორგიმ ძველ ნაქნევსა კიდევ ხმალსა ხელი მიჰყოს!

429
სხვაც გვიბოძა მამულები, სარჩო კარგი სანჯახები,
საქონელი აურაცხი, ხმალ, ლახტ, აფთ და ნაჯახები,
მაგრა ვისაც მიგვისივა, იგ არიან ანჯახები,
მტრისა ადვილ წინ მიმგები, შემძგერი და დამჯახები!

430
წამოვედით, ყაფუჯები ჩვენ თან მოგვდევს მთად და ბარათ;
სადაც მოგვცეს მამულები, ჩვენად საყმოდ, მოსაბარათ,
რადგან კაცი თან გვიახლა, შენ რას გაქნევ წიგნობარათ,
ვის სამძღვარზედ ბრძოლა შევჰქენ, გამისინჯეთ თქვენ აბა, რათ?

431
მოვედით სოხტას, გვითხრობდეს თუ: "კვამლი შვიდ ათასია,
სახლი რეთი არ არის, არ ჰქონდეს სურა, თასია;
მათ ყარაულად გარ უვლის სამუდმოდ კაცი ასია;"
ზოგთ მითხრეს: "რომ დავიხოცნეთ, რა ვჰპოოთ თავის ფასია?"

432
ვჰქვი, ჭკუით საქმე მოგვარდეს, სარდლობა ამას ჰქვიანო,
დავდგეთ აქ, ყური მიუგდოთ, რაც რომ იმათა თქვიანო,
ფრთხილობას გარდაიგდებენ, უფრო და უფრო გვიანო,
თვარემ თუ ახლავ შეუტევთ, მებრძოლნი დადაგვიანო!

433
ბოლოს დავდექით, დავიწყეთ ჩვენ მათში ვაჭრობანია,
ზოგნი მეგობრად ვიჩემეთ, ზოგთ ძმობილ, ვითა ძმანია,
დაწყნარდეს, იარებოდეს მათში სულ ჩვენი ყმანია,
მიხდომის აზრი გარდაგდეს, არ დავიყარეთ ხმანია.

434
434
ხესა ფურცელი გასცვივდა, მთაზე თოვლმან ქნა დებანი,
ხემწიფეს წიგნი ებოძა: "მაქვს შენგან იმედებანი,
ნუღარა ჰყოვნი, მიუხე, ქენ თავის გარდადებანი!
ჯავრს ნუ შემარჩენ მაგათსა, ცეცხლურებ უყავ დებანის!

435
იგი კაცი გავისტუმრე, მე ესენი დავამაშე,
პირველს ღამეს შევეკაზმე, მშვილდს აუბი, თოფი ვმაშე.
დავის სიტყვა გაუთავე, გულსა ჩვენსა "ვაშა, ვშეს"
მე დავიპყარ, დავიმონე, იქ აღარვინ გავაფაშე!

436
შეუხედით დანდობილთა, ოთხგნით გზანი შეუკარით,
გარდუედით სიმაგრესა გალავნისა ციხის კარით,
მხრით თეძოსა ხმალი ვასვით, ვინ ფეხ დადგმივ შემოვჰკარით,
ვირემდისი არ გავწყვიტეთ, განძს არვინ ვჰყავ მინაკარით!

437
შიგ დავდეგით, იქ ვიზამთრეთ, საქონლითა ავივსენით.
ხემწიფესა მოვახსენეთ წიგნითა და კაის ენით:
სიტყვა თქვენი გავათავეთ, რაც გვიბძანეთ, ისე ვჰქენით,
განდგომილნი ამოვსწყვიტეთ, ჩვენ შევჰქენით სისხლთა დენით!

438
ოცს არაბაზე დავაწყევ იქ თოფი ნაშოვარია,
ხემწიფეს წინა გავგზავნე: "ამათი მჭერი მკვდარია!
ქვეყანა გაუტიალე, აღარ აქვთ მოსაფარია,
დავჰხოცე, ზოგი დავჰფანტე, ვეღარ შეგროვდენ ჯარიას!

439
წყალობის წიგნი ებოძა მწვე დიდად გახარებისა:
არ გაგაკეთო დიდებით დ  ჩემგან ეგ არ იქნებისა!
ხალათი კარგი ებოძა, ტკბილ სიტყვა, ენა ქებისა:

"ჩემნი მტერნი და ორგულნი ყველანიმც აგრე კვდებისა!

440
შენ ყოფილხარ მამაცურად, მოგხდომია გამარჯვება,
ეგრე თქმულა, ზეცასა რბის, მეფეთათვის ვინცა კვდება;
რასაც კაცი პატრონზედ იქს, სადაც წავა, წინ დახვდება,
კარგსა კარგი არ ასცილდეს, ავსა ავად გარდაჰხდება!"

441
დავისადგურეთ იმ ზამთარ, ჩვენ ლხინი გვქონდეს ამონი,
ელხინობდით გამარჯვებულნი, რომ გვეპყრა ალაზ-შამონი:
მებრძოლთ გაუხდა შარბათი სასმელად მწარე შხამონი,
შეიტყვეს ჩვენთა მებრძოლთა, არა ვართ უთამამონი.

442
თქვენცა იცით, სამუდამოდ არ მინდოდა აქა ყოფა,
მამული და სამყოფელი რა კაცს შუა გაეყოფა, დ კ
აცის გული ვერ გაძღება, ბევრი ვის აქვს, არ ეყოფა,
ცოტას ქონა მწვე მერჩივნა, რაც რომ მქონდა უწინ ყოფა!

443
თუ კაცი დასჯერდებოდეს იგ მისსა საყოფინარსა,
მას უმადლებდეს რაც მისცეს, პირველ ქვეყანა ვინ არსა,
იგია მიმცემ-წამრთმევი, სხვა იმას გარე ვინ არსა,
ვინ ცხოველად ჰყოფს მოკვდავსა, ანუ ვინ შეიქს მძინარსას!?

444
რანი მამიხდეს, ვინ იცის სოფლისა საცთურებია,
რამდენჯერ გახდის დალებით ჯაჭვისგან ბეჭი, მხრებია,
ხან მარტო დავრჩი სადაგინდ, ხან მყვანდეს მე მომხრებია,
სამყოფინარი გამიხდეს ვერანად, ნაოხრებია!

445
რაცა გარდამხდეს სოფლისგან, ყველას ვერ ვიტყვი მა სულა!
მას ვმონებ, ვაქებ, ვადიდებ, ვინ რომე მიწა მასულა,

სრულ განსაცდელმან შემიპყრა, მახე მამხვია, მასულა,
მიწითგან ცხოვლად შემზილა, ისრევე იმან მა სულა!

445
შურითა მოჰხდა, ცთომისთვის სამოთხეს შევა გველია,
პირველშან მამამ უსმინა, ჩვენ შვება ამად გველია,
მან ძველმან მტერმან მიუთხრა: "არ მოგცე მე ეგ ველიას"
ცეცხლი აანთო სასარჯლო ხორცისა დამდაგველია!

447
იმავ შურმა გამოჰხადა სამოთხიდამ მამა ჩვენი,
სარჯლად მოგვცა ეს სოფელი, სარკის მსგავსად მააჩვენი.
კაცთა ბოლოს არ გამთავი, დასაგმობ და შესაჩვენი,
სწრაფლ წაგვართვა ფეროვნება და ნათელი თვალთა მჩენი!

448
ეს სიტყვები რად მოვიღე, გასინჯეთ და ყურად იღეთ,
კარგნო კაცნო, საანდაზოდ ჩემი საქმე გარდაიღეთ!
ჩემგან ქნილი რაცა სჯობდეს, ზოგნი დევით, ხან აიღეთ,
ავი შორად განუტევეთ, კარგი თქვენკენ წამოიღეთ!

449
აწ გიამბო ჩემზე შურით, თუ რა მოჰხდა გულის ზრახვა;
რაც სახელი მე სადმე ვჰქენ, შექნეს კვნესა, ზოგთა ახვა;
ზოგთა კარგა შეიწყნარეს, ზოგთა შექნეს ჩმახვით ძრახვა,
ვჰთქვი, დავჰკარგე სამკვიდრონი, ლარ მამხვდა თვისთა ნახვა!

450
ვეზირ აზამი ხემწიფის თავს დაიწერდის სიძობით,
სულთან მურადის და ედგა, არ მეყვისობდა ბიძობით,
ქალთან ქებინის დალოცვით, ართუ მრუშობა მსიძობით,
ვეზირსა ცოლმან მოდერა: "მეფეთგან თქვენ გაიძობითს!".

451
ცოლს მოეწერა ვეზირთან: "სად არის შენი სახელი?

აქ მოურავის ქება არს, თქვენნი არიან მძრახველი!
ხემწიფე ბძანებს: "ყმა არ მყავს უკეთეს, ან მის მსახველი,
მაგას რამ საქმე უგვარე, თუ თვალნი გქონდეს სახელის!"

452
ის იაზაბელ შეიქნა, ნაბოთეს ბაღის წამღები,
ან იროდიას ემსგავსა, სისხლთ ნათლისმცემლის დამღები,
ევდუქსიასა ტახტს იჯდა, ეროდეს კარის გამღები,
რჯულისა შემარყეველი, მრავლის ცოდვისა წამღები!

453
ვეზირმან თქვა: "სხვათ აქებდენ, მე სახელი გამიქარდეს,
ჩემი საქმე არ გამოჩნდეს, სხვის სახელზე მეფე ხარდეს!
სიკვდილი და ხმლის გაბედვა მისი მეცა დიაღ მზარდეს,
თუ ეს ბედი წაღმა მესხნეს, ვჰთქვი: "მიწათა რად გამზარდეს?"

454
კაცი ვნახე, რომ მოვიდა ჩემთან წიგნით ვეზირისა,
ებრძანა თუ: "შეგვეყარე, აქ ჰაერი კარგი ქრისა!
ტკბილად ვნახოთ ერთმანეთი, არ სიტყვა ვჰთქვათ მუქარისა"!
ხმობა, შეყრა, ალერსობა, ვერ შევიტყვე, იყო რისა?

455
მე შევჰთვალე: "უხემწიფოდ ვერა გნახავ, არ იქნება!
ხემწიფე თუ წიგნს მიბოძებს, ძალია თუ ან იქ ნება,
მაშინ გვერცა გიახლები, მტერი ფეხსქვეშ გაიქნება.
ხემწიფეზე დამნაშავე ასო-ასოდ აიქნება!

456
რა არ ვნახე, მწვე ეწყინა, გულში იქნა ნაღვლიანად,
შემოსტუქსა მოციქული პირქუშად და ჯავრიანად:
"ჩემს ხმას მონებს საკეისრო, სიგრძე სად აქვს განიანად!
მე არ მნახა მოურავმა, ესე იყოს, თქვა, ჯერხანადს!"

457

ხელმწიფესთან ჩაფრად კაცი მან გაგზავნა მეტად ჩქარად,
ცოლს მისწერაა, შენ მაცნობე აწ ამბები დასაფარადან,
მან მოსწერა. ,ეს ხემწიფე შენზედ არის გულში მწარად,
მოურავის გამარჯვება მწვედ იამა გასახარად!ნ

458
მოსწერა თუა ,ორისაგან ერთი წინ გიც, იყავ მქნელი!
მოურავის ხმლიაა სიკვდილი, გვესმის, არის დიაღ ძნელი,
ან შეაკვდი, თავი დადევ, შენს ლაშქართა იყავ მსვრელი,
ან მოკალ და მოერიე, მისის სისხლით იყავ მსვრელი!

459
შენს ხელთ იყოს მისრ-ბაღდადი, ალაბ-შამი ბასრამდისა,
ისპა ოღლანს, რაც უბძანო, ენგინჩარნიც იქ მიდისა;
ნილოსს მყოფნი შენ გიძრწიან ანუ შადი სადა დის,
შენს ხელთ არის ვეზირობა და ქმარი ხარ მეფის  ისაა!"

160
ვეზირმან თქვა: "მოურავთან მე არა მაქვს მტერობანი,
მაგრა რა ვჰქნა, ხემწიფის დის მმართებს სიტყვის ჯერობანი.
რაცა ბძანოს, მე ისი ვჰქნა, მას დაუწყო ფერობანი,
მაგრა მიკვეთს, ბორცვ-გორათა შენ ქენიო მგერთბანი!"

461
კიდევ წიგნი გაუგზავნა, შიკრიკს მასცა, მალე ვლიდე!
მიეწერა: "ხემწიფისას წყალობასა ვერ დავსთვლიდე,
მაგრა ძნელსა საქმეს მიკვეთ, თავი ამად გავაფლიდე,
რა ღონე მაქვს, ამა სოფლით ან ის გავა, ან გავლიდე?

452
ეს გასინჯე, ყური უპყარ, იყავ კარგი მომსმენვლი,
მტერნი მყვანან, ხემწიფესთან იქნებიან დამსმენელი,
ხმა გამოვა მოურავის სიკვდილისა გამსმენელი,
რა ხელმწიფე გაიწყრომოს, რაღა უთხრა მასმენელი?

463
ხემწიფესა დიდადა სჩანს, მისთვის არის დიდად კარგი,
ხაზინადარ სიძეთა ჰყავს, ხემწიფისა დიდად მარგი,
რომ შევაკვდე, ანუ მოვჰკლა, ვის მივართვა მისი ბარგი?
ბძანეთ, რომე ჩამოვეხსნა, მშვიდობისა ნორჩი დარგის,

464
მან მოსწერა: "სიჯაბნითა ვერ აპირებ მორევასა,
მაგით უფრო ჩავარდები სიღრმის უფსკრულრ, მორევასა,
ერიდები ქვეყნისასა აშლასა და მორევასა,
მე გვერც აღარ მოგეწურვი, მალმალ გეტყვი მორევასას!"

465
ხემწიფის დობით თამამობს, თვარ როგორ სტუქსოს ქმარია?
ცოლმა ქმარს: მმოკვდი!ნ ეს უთხრას, იგ მიწას დასანთქმარია!
ვეჭობ, რომ სძულდეს ვეზირი, თვარე ვჰთქვათ, რა საქმარია?
ამ რჩევა ვეზირობისთვის საკვდავი ასაქმარია!

466
ცოლმან კვლავ კიდევ მიასწერა სიტყვა ცხარი და მწარია:
იერთის ქართველის კაცისა სახელი დიდათ არია!
შენი ხსენება დადუმდა, თქვეს: "ცოცხლივ ანუ მკვდარია?"
მწვე ბაუჭირდა ვეზირსა, საქმე აქვს შესაზარია!

467
ვეზირის გულსა დამკვიდრდა რჩევითა ღალატობანი,
თუ მათის საქმე სადმე სჯობს, არა აქვთ კაცთა ნდობანი,
ერთს კაცსა არვის შეეძლო საქმენი ჩემოდნობანი,
მე უყვი მტერთა მრავალჯერ დაწვა და ჩამოდნობანი!

468
რა მოვა კაცზედ განგება, ეტლი არ ბრუნავს ზედადო,
შუქურ მასკვლავი დახვდების პირდაპირ შემომხედადო!
ჩარხებსა ფრთანი დასცვივის, ზე მყოფი იქმნას ქვედადო,
დღე მოეწურ, სვისაგან, გახდების უიმედოდო!

ამა სოფელმან მაბრძოლა აღმოსვლით დასავლეთამდი,
ბაბილოვანს და სამხრეთსა ბრძოლილ მყო ხლმისა კვეთამდა;
ჩრდილოთ ლეკთა და ოსეთსა, კიდით სრულ ჩერქეზეთამდი,
ლხინიც მამცა და წუხილი, ურვა და სევდა კვნესამდი!

470
კაცსა გასცდის და აღორებს სოფლისა ნივთთა წესია;
ხან იშვებს, იტყვის, მრა მიშავსნ ხან ტირის ცრემლთა მთესია.
ხან გონია მუკვდავ ვარ", ხან სნეულ არს და მკვნესია,
თუ სულსა რამე უღვაწოთ, ყველას ეს უკეთესია!

471
რაც მე გარდამხდა სოფლისგან, წერით ვინ გაათავებსა?
ანაზდათ კაცთა გვიმუხთლებს, მოშლის კარგს ტანს და თავებსა,
არ შეგვიწყალებს სიკვდილი, ძოწეულს შეიქს შავებსა,
არ მოგვცემს დროსა ჟამამდი, არცა გვთხოვს დასაზავებსა.

472
ბევრი მსაჯა, სად მამავლო, მამიყვანა სადამდისა;
სად მმართებდა მე ტირილი, აწყა ცრემლი სადა მდისა?
ცეცხლმან კვამლი შემომხვო, აწ უყურეთ, სად ამდისა,
მეფემან და სიძემ მკარგა, მდურვა მქოანდეს სად ამ დისა?

473.
ყანდარს ბრძოლა და ბაღდადს, ვინ "მიწურვა მისრისა,
სტამბოლს ხანისა დაყოფა, ნახვა, გასინჯვა მისრისა;
არაბისტნისა ჭაბუკნი მაჯამან ჩემან მისრისა,
აწყა სევდისა ლახვარი გულსა მიწყლულებს, მისრისა!

474
გავათავე ჩემი სიტყვა, წავალ თქვენგან სალამითა,
ვისცა გესმას ჩემი გავლა, ცრემლი ქენით, სალა მითა;
უკანასკნელს ანდერძს მოგცემ, საქმე იმას ალამითა,

აწ საფლავად თან მამყევით, მამაყარეთ სალა მითა!

ე პ ი ლ ო გი

475
ნათესავ-მოდგამ-გვარ-ტომმან მისმან ეს ვიწყე წერებად,
ამად მეშინის მოშურნე პირველივე მყავს მტერებად,
რომ უქმა სიტყვა მამხადოს, არ იყოს ჩემზე ფერებად,
ვინ არს ცოდვილთა შემწყნარე, ვედრივარ, მექმნას ტერებად!

476
ქართლის ცხორება სხვათა თქვეს, მე ამის ვიქმენ ბრალევად,
რომ დამეკარგა ამბავი, ქნილიყო შესაბრალევად!
წყარო ტკბილი და ამონი ქნილიყო გასამშრალევად;
ეგებ ვერ მეთქვას გაწყობით, მაშინც ნურვინ ხართ მწყრალევად!

477
სიკვდილი ამად არ ვსწერე, არ ვაჯობინე ხოცანი,
ვის გესმისთ მსი დაკარგვა იქნებით ცრემლთა მხოცანი,
ნაქნარსა მისსა გასინჯავთ, ჰთქვათ, ცხადია თუ ოცანი,
რაც ექნა, ვეჭვ ძლივ დავსწერე, ათისთავად ვჰთქვა ოცანი!

478
თქვენ გევედრები, ვანცა ხართ სიტყვისა გამსინჯავია,
სიტყვა მრაახვა არა ხამს, რაგინდ რომ მევქვას ავია,
სოფლის ზღაპრისა წერისთვის შევიქმენ დამნაშავია!
მას დარჩა ჭკუის საუნჯე, ვინც ცრემლით ავსო ნავია!

479
უქმი სიტყვა ცუდსა პქვიან, მეც ვარ მუდმად უქმის მთქმელი,
კაცი რომე უქმს ამბობდეს, ვით მორჩების დაუნთქმელი?
ჭკვა მათ ჰპოვეს, საღთოს წიგნის ვინცა იყვნეს გარდამთქმელი,
მე შევიქმენ ენა-ყბედი, სოფლის სიტყვის სამ წამთქმელი!

480

ესეთი სიტყვა არა ხამს, თუ ბერი წესზე ბერევდეს,
სინანულის სვიფონსა, საკუთარად მისთვის ბერევდეას,
ჭაბუკნი მხეცთა ერთოდეს, მხცე გასრულებით ბერევდეს,
ვინ სწვრთნიდეს, ყურსა უპრობდეს, არა თუ გულსა ბერევდეს!

481
მე სოფლისა საქმეს მივჰყევ, მე ვინა და ამის წერა?
ის მიჯობდა, მოციქულთა რაც თქვეს, ყველა დამეჯერა,
სულის ღვწით და სინანულით ანგელოზნის შემეჯერა,
თაო ჩემო, შენთვის რა ჰქენ, ანუ კარგად გასინჯე რა? .

მ ე ფ ი ს ა რ ჩ ი ლ ი ს ა დ მ ი

484
ეს არის ლექსად ნათქვამი, მნატრე ვინ თქვენის ხლებისა,
ზოგი რამ საღთოს დავსწერე, სიტყვა ვჰთქვი წმინდა ქებასა,
საღთოს ქების მთარგმნელი სული რჯას აღრ ებასა,
მე ამისწერით მეშინის, ვათუ ხმა მესმას ვებისა!